ეროვნული ბიბლიოთეკა


# საარბიელო

სპორტული გაზეთი სამშაბათი 15 მაისი 2007 №108 (3031) ფასი 50 თეთრი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიტუაცია: ყრილობა მოკვდა, გაუმარჯოს ყრილობას!








## ამასობაში არველაძე წავიდა...

## ცდა №5: იაზაფებს აზოტი?



დღეს რუსთავში კალათბურთელთა მე-16 ეროვნული ჩემპიონატის სუპერფინალური სერია იწყება. მასპინძელი „აზოტი" თბილისის „ავიამშენს" დაუხვდება. სერია სამ მოგებამდეა და გვარიანი ბრძოლა უნდა გამოვიდეს, მით უმეტეს, რომ წლევანდელი ფინალი შარშანდელის გამეორებაა.

შარშან „ავიამშენმა" ხუთ მატჩში იმარჯვა, ოღონდ მაშინ მოედნის უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ და ბოლო, მეხუთე შეხვედრა სწორედ თბილისში ჩატარდა.

წლეულს პირიქითაა — რეგულარული სეზონის მომგებმა რუსთაველებმა მოედნის უპირატესობა დაიბევეს და კბილებს ილესავენ. ოთხი ფინალის წამგებ გუნდს ჩემპიონობა სწყურია და წყალი არ გაუვა, „აზოტი" ყველაფერს გაიღებს ტიტულის მოსაპოვებლად.

იოლად არც „ავია" დათმობს წოდებას. თანაც, ლევან მოსეშვილის გუნდმა დავით უსტიაშვილისას წლეულს თასის ფინალში უკვე აჯობა და იცის, როგორ დაამარცხოს მეტოქე.

ინტრიგა მართლაც დიდია...



## ლა რეპუბლიკამ რესპუბლიკა შეძრა

### მაურიციო კაპობიანკო: რაც მე ვიცი, კალჩოპოლის ბინძური ფეხები იმასთან შედარებით ჩემი ფეხებია

მოგენატრებათ კალჩოპოლი! — ფაქტობრივად, ასე გამოუვიდა ტურინის „იუვენტუსის" ყოფილ დირექტორ მაურიციო კაპობიანკოს, რომელმაც იტალიურ „ლა რეპუბლიკას" სკანდალური ინტერვიუ მისცა.

„იუვენტუსის" შეფები, ლუჩანო მოჯი და ანტონიო ჯირაუდო რამდენიმეათასიანი საჩუქრებით „ამარაგებდნენ" მსაჯებს, ჟურნალისტებს, „ულტრასებს" და სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკებს; ბინძური თამაში დაიწყო არა 2004 წელს, როგორც ამას აქამდე ამბობდნენ, არამედ ჯერ კიდევ 1995 წელს; მოჯი-ჯირაუდოს წყვილმა შეძლო და, უეფაშიც კი მოაგვარა სკანდალური საქმეები — ეს და სხვა მრავალი დაყაჭა ტურინული კლუბის ექსდირექტორმა და ისიც თქვა, არ გეგონოთ, „იუვე" ახლაც „სუფთა ფეხებით" თამაშობდესო...



მოკლედ, გახმაურებული კალჩოპოლის სკანდალით გვარიანად შეძრულ იტალიას და, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ამ ქვეყნის ფეხბურთის ერთ-ერთ სახეს, „იუვენტუსს" დიდი უსიამოვნებები ელით. იტალიელი ჟურნალისტების აზრით, თუ კაპობიანკოს ნათქვამი დამტკიცდა, კალჩოპოლის სკანდალი მონაგონი იქნება...

საქმეს უკვე მოჰკიდა ხელი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა და კაპობიანკოს უახლოეს დღეებში დაკითხავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენსამდივნო უფლებამოსილია განაცხადოს...

...თურმე სად ვყოფილვართ, მთავარი ამბები ახლა იწყება და... თანაც მთავრდება...

გუშინ, სადღაც ხუთი საათისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ნემსაძემ ფედერაციის გენერალურ სამდივნოს თავისი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე აცნობა. ყრილობაზე გუშინწინ არჩეული ახალი პრეზიდენტი გუშინ გადადგა! ნემსაძესთან ერთად ახალარჩეული აღმასკომის 9 წევრმაც დაწერა განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტაზე.

მოდით, აქ აღარ მოვყვეთ, ამ განცხადებებამდე რა და როგორ იყო, კაცი თუ მთლად ჭურში არ ზის, გუშინწინდელი მოვლენების თაობაზე ყველას ყველაფერი ეცოდინება. ფაქტი ერთია და ძალიან უცნაური, ეგებ უპრეცედენტოც — ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა არჩევიდან ორ საათში განაცხადა, მალე რიგგარეშე ყრილობას მოვიწვევთ და ახალ პრეზიდენტს ავირჩევთო. მაშინ ნემსაძეს გადადგომაზე არაფერი უთქვამს, თუმცა ყველანაირი მინიშნება გააკეთა. გუშინ კი მან განცხადება დაწერა და პრეზიდენტის პოსტი გაათავისუფლა...

იქამდე კი, ვიდრე ნემსაძე გადადგომას ოფიციალურად გააფორმებდა, იყო ათასი კითხვა და ათასი ვარაუდი, რა ხდება, რას აპირებს ნემსაძე?..

ფეხბურთის ფედერაციასთან გუშინ დილიდანვე ხალხმრავლობა იყო — უბრალო ქომაგები, ჟურნალისტები, ფეხბურთელები და სხვაც ბევრი... კითხვები და ინტერესი იგივე იყო, რაც წინა დღეს, თუმცა ყველაფერი უპასუხოდ რჩებოდა... სადღაც ხუთი საათისკენ კი ფედერაციიდან გვაცნობეს, 7 საათზე ნოდარ ახალკაცის ფედერაციაში გენერალური მდივანი უჩა უგულავა ბრიფინგს გამართავსო. რამდენიმე წუთში შეგვატყობინეს, ბრიფინგი რვაზე დაიწყებაო... თუმცა ეს ყველაფერი, ერთგვარად ფორმალობა იყო, იქ მყოფთაგან ყველამ კარგად იცოდა — ძალიან მალე ახალი ყრილობა ინიშნება...

უჩა უგულავამ კი სიტყვა-სიტყვით ეს თქვა...

დღეს, 2007 წლის 14 მაისს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი ნემსაძემ და ფედერაციის ახლად არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის ცხრა წევრმა: ივანე ხორგუაშვილმა, ნუკრი კაკილაშვილმა, ნუგზარ ბექაურმა, დილარ ხაბულიანმა, ლაშა მინდელმა, დავით სილაგაძემ, ვალერი მანაგაძემ, სერგო კვარაცხელიამ და ალექსანდრე ახვლედიანმა ფედერაციის გენერალურ სამდივნოში შემოიტანეს წერილობითი განცხადებები საკუთარი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში მოწვეული იქნება რიგგარეშე ყრილობა და ფედერაციის პრეზიდენტისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა არჩევნები ჩატარდება.

უეფას კონსულტაციების საფუძველზე, ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა არ იცვლება და ამ რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ პრეზიდენტობისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის იგივე კანდიდატები მათი თანხმობის შემთხვევაში.

რიგგარეშე ყრილობა განიხილავს ორ საკითხს: ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნო 24-საათიან სამუშაო რეჟიმზეა გადასული და რიგგარეშე ყრილობის თარიღს ხვალ გამოაცხადებს...

იქამდე პრეზიდენტის მოვალეობას ვინ შეასრულებსო, იყო კითხვა. უგულავამ, გენერალური სამდივნოო და, ისიც დასძინა, რომ გიორგი ნემსაძემ თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილება პირადი მოსაზრების გამო მოხსნაო...

კომენტარები, ალბათ, ზედმეტია, ვფიქრობთ, უფლების მიუხედავად, გიორგი ნემსაძე მომავალ ყრილობაზე თავის საპრეზიდენტო კანდიდატურას აღარ წამოაყენებს... ეს რიგგარეშე ყრილობა კი, საეჭვოა, დღეს-ხვალ შედგეს.

**ქოზა ინასარიძე**

### ინგლისი
მეორე ლიგა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩი
შრიუსბერი 0:0 დონსი

### ირლანდია
პრემიერლიგა. X ტური
დერი 1:0 შემროკი

### შვედეთი
ალსვენსკა. VI ტური
იურგორდენი 0:1 გაის
ჰალმსტადი 1:0 ტრელებორგი
გიოტებორგი 2:0 გეფლე
სუპერეტა. V ტური
ლანდსკრონა 1:2 ფალკენბერგი
ნორჩიოპინგი 2:2 ჰეკენი
სირიუსი 1:0 სილვია
სუნდსვალი 3:0 იოსტერსი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა
XXVIII ტური
დებრეცენი 4:1 რეაკი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXXVI ტური
მონპელიე 2:1 ლე ავრი

### ისლანდია
პრემიერდივიზიონი
I ტური
რეიკიავიკი 1:2 კეფლავიკი

### უკრაინა
ვიშა ლიგა. XXVI ტური
მეტალურგი (დ) 0:2 მეტალისტი

### რუმინეთი
I ლიგა. XXXII ტური
კლუჟი 2:1 გლორია

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა
XXVIII ტური
სპარტა 1:1 ლიბერეცი

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. V ტური
ვიიკინგიტი 1:4 მიუპა



რომელი ფეხბურთელი არ წასულა ამა თუ იმ ნაკრებიდან, მაგრამ საქართველოსთანა პატარა ქვეყნებს თუნდაც ერთი ევროპული დონის მოთამაშის გამოკლება დიდ დალს ასვამს — წაგიკითხავთ როდესმე კლაუს ტოპმიოლერის ინტერვიუ, ეს რომ არ აღენიშნა? ასეა: შოთა არველაძე საქართველოს ნაკრებს დაემშვიდობა. ეროვნული გუნდის საუკეთესო ბომბარდს გუშინ ჰოლანდიაში დავუკავშირდით და ნაკრების გარდა, ცხადია, „ალკმაარის" ბოლოდროინდელ თავგადასავალზე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ დატრიალებულ ამბებზე დავეკითხეთ...

# შოთა არველაძე: ჩემი ნაკრები მორჩა!
## სტენლი მეტიუზი და როჯე მილა არ ვარ...

— „ტვენტეს" ორი მატჩის ჯამში 3:1 მოუგეთ და ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელად „აიაქსს" ხვდებით. „ტვენტესთან" მეორე თამაშში მეორე ტაიმის დასაწყისში შეგცვალეს — ეს დაღლილობის ბრალი იყო?

— კი, ძალიან გადაღლილი ვიყავი და ვერ ვითამაშე კარგად. კიდევ კარგი, მოვიგეთ — ახლა ცოტა დასვენების საშუალება მაქვს.

— „ალკმაარს" ძალიან გადატვირთული კალენდარი აქვს და 34 წლის ფეხბურთელი რომ დაიღალოს, არცაა გასაკვირი...

— 50 მატჩი ერთ სეზონში: არ დამითვლია, მაგრამ, მგონი, 23 წლის რომ ვიყავი და დავფრინავდი, ამდენი მაშინ არ მითამაშია.

— „აიაქსთან" ორმატჩიანი დუელი გელით ცხადია, ეს გუნდიც დაღლილია და როგორ შეაფასებდი შანსებს?..

— სეზონში „აიაქსს" სამჯერ ვეთამაშეთ და სამჯერვე ფრედ — თასის ფინალში პენალტებით წავაგეთ, მაგრამ საშინლად არ გაგვიმართლა. თუმც ისიცაა, რომ საშივე მატჩში ამსტერდამელებს თამაშით ვაჯობეთ. ვნახოთ, ცოტა იღბალმაც უნდა გადმოგვხედოს, ისე კი, მოგების იმედი მაქვს.

— თასის ფინალში „ალკმაარს" გოლი არ ჩაუთვალეს, ამას რა გამოხმაურება მოჰყვა ჰოლანდიაში?

— ასპროცენტიანი გოლი იყო. ცუდად გვიმსაჯეს, მაგრამ თასს ვინ დაგვიბრუნებს...

— „აიაქსთან" ორი თამაში და სეზონიც დასრულდება. შემდეგ რას აპირებ?

— არ ვიცი. „ალკმაართან" ერთი წელი კიდევ დამრჩა კონტრაქტით. შეიძლება, ყატარის კლუბში წავიდე, შეიძლება, სულაც შევეშვა თამაშს.

— იმას არ აქვს მნიშვნელობა, ჩემპიონთა ლიგაში გახვალთ თუ არა?

— გარკვეულწილად, აქვს. ჩემპიონთა ლიგა მაინც სხვაა. სეზონი რომ დასრულდება, შეიძლება, მუხლზე ოპერაცია გავიკეთო — ძალიან მიშლის ხელს.

— 2 და 6 ივნისს საქართველოს ნაკრებში ითამაშებ?

— არა, ჩემი ნაკრებში თამაში მორჩა, ჯანი აღარ მომდევს, სტენლი მეტიუზი და როჟე მილა ხომ არა ვარ...

— ეს საბოლოოდ გადაწყვიტე?

— კი. თუ თამაშობ, მთელი ძალით უნდა ითამაშო, მე კი შოტლანდიასთან გამაყუჩებლებით გავედი მინდორზე.

— ახლა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე გკითხავ, მით უმეტეს, გიორგი ნემსაძე შენი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია.

— გიორგისთან დიდი ხნის მეგობრობა მაქვს, ის ჩემი შვილის ნათლიაა. მის გადაწყვეტილებაზე რა ვთქვა: რადგან ასე მოიქცა, ესე იგი, ასე ჩათვალა საჭიროდ. სიმართლე გითხრათ, ნემსაძეს არჩევნების შემდეგ არ დავკავშირებივარ. შორიდან ძნელია ანალიზის გაკეთება. ცუდია, ასეთი სახით რომ წარიმართა ყველაფერი — ლანძღვა-გინება ძალიან ადვილია. იმის თქმა არ შეიძლება, თითქოს ნოდარ ახალკაცმა და მისმა გუნდმა ყველაფერი ცუდი გააკეთეს ქართული ფეხბურთისთვის.

უკრაინასთან და შოტლანდიასთან ბოლო წუთებზე გაშვებული გოლებით საცოდავად წავაგეთ, იტალია-საფრანგეთთან არაერთი ლიდერი გვაკლდა — წარუმატებლობის მიზეზი ესეც ხომ არის?! ვის მოუგია ბოლოს უკრაინაში, გამახსენებს ვინმე?!

— ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ხელისუფლების აქტიური ჩარევა რამდენად მართებულად მიგაჩნია?

— როცა სახელმწიფოზე ხარ დამოკიდებული, სხვანაირად რას იზამ. მაშინ ისეთი გუნდი უნდა მოვიდეს ფედერაციის სათავეში, დიდძალი ფული რომ ჰქონდეს და ხელისუფლების დახმარება არ სჭირდებოდეს. საფრანგეთის მთავრობამ პსჟ-ს 100 მილიონი დოლარი გადაუხადა ვალების დასაფარად და კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ყველამ იცის, რაც არის გასაკეთებელი ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის, მთავარია, ფინანსები და სწორი ორგანიზაცია იყოს. ბოლო ორ წელიწადში ფედერაციის მუშაობაში დადებითიც იყო და უარყოფითიც. მე ისეთი კომპეტენტური ვერ ვარ და შორიდან ვუყურებ მოვლენებს. შეიძლება, რეგიონებში ფეხბურთისადმი უყურადღებობა დააბრალო ფედერაციას, მაგრამ ყველაფერზე მოდავება და ცუდის დანახვა არ ივარგებს.

**ილია ნანობაშვილი**

# ჰაინცელები საშოტლანდიოდ

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდისთვის ხვალ შეიკრიბება, 17 მაისს კი შოტლანდიაში გაემგზავრება და დანდიში დაბინავდება. ჩვენები 23-ში პირველ მატჩს პორტუგალიასთან გამართავენ, 25-ში — შოტლანდიასთან, 28-ში კი თურქებს შეხვდებიან.

ჰაინც ტოპმიოლერის განკარგულებაში საშოტლანდიოდ 18 ფეხბურთელია:

***მეკარეები:*** *რევაზ თევდორაძე (დილა), გიორგი მაკარიძე (დინამო);*

***მცველები:*** *გულვერდ თომაშვილი (დინამო), გიორგი ხიდეშელი, ამირან სანაია (ორივე ზესტაფონი), ზურაბ გვაძაბია (ამერი);*

***ნახევარმცველები:*** *გიორგი განუგრავა (უელუბოდ), ნიკოლოზ კვასხვაძე, ალექსი ბენაშვილი (ორივე ზესტაფონი), მირზა ბჟალავა (ავსტრია, ლუსტენაუ), გიორგი ნიკოლაიშვილი (ამერი), ლევან ჯენია (ლოკომოტივი), დავით თარგამაძე (დინამო);*

***თავდამსხმელები:*** *ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ვახტანგ ფანცხავა (ვაგრა), რევაზ ბარაბაძე (დნიპრო, უკრაინა).*

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 24 ტური

# კენწერო არ შერხეულა

დილა 0:1 ოლიმპი
დინამო 1:0 ვიტ ჯორჯია
ბორჯომი 4:1 კახეთი
სიონი 0:0 ზესტაფონი
ტორპედო 1:3 ლოკომოტივი
ამერი 6:0 მერანი
ბათუმი 3:0 ჩიხურა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 24 | 18 | 5 | 1 | 53:7 | 59 |
| დინამო | 24 | 18 | 2 | 4 | 48:17 | 56 |
| ამერი | 24 | 16 | 5 | 3 | 50:14 | 53 |
| ზესტაფონი | 24 | 14 | 9 | 1 | 45:10 | 51 |
| ვიტ ჯორჯია | 24 | 12 | 8 | 4 | 39:24 | 44 |
| სიონი | 24 | 11 | 4 | 9 | 27:20 | 37 |
| ტორპედო | 24 | 9 | 4 | 11 | 22:29 | 31 |
| ბორჯომი | 24 | 8 | 6 | 10 | 28:32 | 30 |
| ბათუმი | 24 | 7 | 6 | 11 | 24:26 | 27 |
| ლოკომოტივი | 24 | 6 | 6 | 12 | 17:32 | 24 |
| ჩიხურა | 24 | 5 | 6 | 13 | 13:36 | 21 |
| მერანი | 24 | 4 | 8 | 12 | 15:41 | 20 |
| დილა | 24 | 2 | 5 | 17 | 15:55 | 11 |
| კახეთი | 24 | 0 | 2 | 22 | 20:74 | 2 |

## მთავარია 16 მაისი და რუსთავი



**მოიგო** „ოლიმპმა", მოიგო „დინამომაც" — ორივემ მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილი კინკილა გოლით იმარჯვა და ცხრილის კენწეროში ისევ სამქულიანი ჰანდიკაპი დარჩა: ერთი მარცხი და რუსთაველები ლიდერობას მოსწყდებიან, დუშან უჰრინის „დინამოც" მშიერი მგელივითაა ჩასაფრებული...

ერთი საჩემპიონო მატჩი „ოლიმპი" — „დინამო" 5 მაისს ვნახეთ, მაგრამ წინ კიდევ ერთი საჩემპიონო ჯახია: 16 მაისს რევაზ ძოძუაშვილის ბიჭები თასის ფინალისტსა და მესამე ადგილისთვის მებრძოლ „ამერს" მასპინძლობენ — თუ „ოლიმპი" არ წააგებს, შეუძლია ზეიმი მოიწყოს, რაკილა ბოლო ტურში სუსტ „ტორპედოს" სტუმრობს. ახლა საკითხავია, როგორი ვერაგი სტუმარი იქნება „ამერი".

თავის მხრივ, „დინამოს" იოლი კალენდარი დარჩა — სასწაული უნდა მოხდეს, ბოლო ორ ტურში ქულა დაკარგოს. უჰრინის გუნდს შაბათს ჰქონდა მძიმე თამაში, „ვიტ ჯორჯიას" სანდრო იაშვილის პენალტით სძლია და დინამოელთა გოლკიპერ სოსო გრიშიკაშვილს ყოჩაღად რომ არ ეთამაშა, ვიტელები არაერთხელ გაიტანდნენ.

ინტრიგაა მესამე ადგილისთვისაც: „ამერმა" 6:0 გაისეირნა „მერანთან" და „ზესტაფონს" ორი ქულით გაუსწრო, მაგრამ დარჩენილ ტურებში გლდანელები ძლიერ მეტოქეებს ხვდებიან და ფეროელების საპრიზო შანსებიც ამად ბრჭყვიალებს.

ცხრილის ძირში ოფიციალურად გაირკვა „დილას" გავარდნა, საპლეიოფო მეთორმეტე ადგილზე კი „მერანი", „ჩიხურა" ან „ლოკომოტივი" გავლენ, თუმც რკინიგზელებს ეს „პერსპექტივა" ნაკლებად ემუქრებათ. ბოლო ტურებს თუ გადავხედავთ, „მერანი" უფრო ცუდ დღეშია, ვიდრე „ჩიხურა", დარჩენილი თამაშებიც საჩხერელთა უკეთეს შანსზე მიუთითებს...

ბოლოს, 23-ე ტურის ორ ჰეთტრიქოსანზეც ვთქვათ: ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა „მერანთან", ბორჯომელმა შოთა ჯიქიამ კი „კახეთთან" გაილაღეს.

**ილია ნანობაშვილი**

### ოცდამეხუთე ტური

16 მაისი, ოთხშაბათი
ჩიხურა – დინამო
ოლიმპი – ამერი
ბათუმი – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – დილა
მერანი – ტორპედო
ლოკომოტივი – სიონი
ზესტაფონი – კახეთი

### ოცდამეექვსე ტური

20 მაისი, კვირა
დინამო – ბათუმი
ტორპედო – ოლიმპი
ბორჯომი – ზესტაფონი
კახეთი – ლოკომოტივი
სიონი – მერანი
ამერი – ვიტ ჯორჯია
დილა – ჩიხურა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 17-იაშვილი | დინამო |
| 13-შოშია | ზესტაფონი |
| 10-ბელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ტატანაშვილი | ამერი |
| წინამძღვრიშვილი | ამერი |
| 9-იონანიძე | ზესტაფონი |
| დავითაშვილი | ამერი |
| 8-დვალიშვილი | ოლიმპი |
| 7-დოლიძე | ამერი |
| ბ. დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| შაქრიშვილი | დინამო |
| შ. ჯიქია | ბორჯომი |

### სიმბოლური ნაკრები

რატი წინამძღვრიშვილი — ამერი
სანდრო იაშვილი — დინამო
შოთა ჯიქია — ბორჯომი
რევაზ გეწაძე — ოლიმპი
პოლ კასანი — ზესტაფონი
დენის დობროვოლსკი — ამერი
კობა შალამბერიძე — ბათუმი
კახა ჩხეტიანი — ზესტაფონი
ედსონ სანტოსი — ზესტაფონი
ალექსანდრე კვახაძე — ვიტ ჯორჯია
სოსო გრიშიკაშვილი — დინამო

# კაცი არც იმედს მოუკლავს

ორი წლის წინ ზურაბ სტურუ-ას ეროვნული ჩემპიონატის მეკარეებში ტოლი არ ჰყავდა და „ლოკომოტივში" თამაშისას ჩემპიონატის რეკორდიც გააუმჯობესა კარის მშრალად შენახვაში. 2005 წელს სტურუა „დინამოში" გადავიდა და თავიდან ძირითადში ადგილს ვერავინ ეცილებოდა, მაგრამ მერე ცუდი დრო დაუდგა: „დინამო 2"-ში გადაიყვანეს, ამ ზამთარს კი უმაღლესში დარჩენისთვის მებრძოლ „ჩიხურაში" გაანათხოვრეს.

რას იზამს სტურუა სეზონის დასრულების შემდეგ? 28 წლის გოლკიპერს ამაზეც ვესაუბრეთ...



— თბილისის „დინამოსთან" კიდევ რა ხნით გაკავშირებს კონტრაქტი?

— „დინამომ" „ჩიხურაში" სეზონის ბოლომდე გამანათხოვრა და კონტრაქტის თანახმად, დინამოელებს უნდა დავუბრუნდე. თბილისელებს 2008 წლის მაისამდე ვეკუთვნი.

— „ჩიხურაში" როგორი ფინანსური მდგომარეობაა?

— ჩვენებური საშუალო დონის კლუბის კვალობაზე ნორმალური მდგომარეობაა. ხელმძღვანელები ცდილობენ, დროულად დაგვირიგონ ხელფასები და პრემიები. საერთო ჯამში, უკმაყოფილო არ ვარ.

— ახლახან გუნდიდან მთავარი მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი წავიდა. მის ნაცვლად ვახტანგ თურმანიძე დანიშნეს, რომლის გვერდითაც ქუთაისის „ტორპედოში" თამაშობდი...

— ქასრაშვილის წასვლა დასანანია, მაგრამ ასე ჩათვალა საჭიროდ. რაც შეეხება თურმანიძეს, ის საკმაოდ კარგი ფეხბურთელი იყო და ახალ საქმიანობაშიც ძალიან მონდომებულია. დარწმუნებული ვარ, კარგი მწვრთნელიც დადგება.

— როგორ გგონია, „ჩიხურა" უმაღლესში ადგილს შეინარჩუნებს?

— დარჩენილ ორ ტურში სერიოზული თამაშები გველის და ყველანაირად ვეცდებით, პლეი ოფს ავცდეთ.

— ეროვნული ნაკრების კარშიც მდგარხარ და ალბათ ნაკრებში დაბრუნებაზეც ფიქრობ?..

— ყველა ფეხბურთელს აქვს აღმავლობის და დაღმასვლის პერიოდები. მეც ასე დამემართა, მაგრამ ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ ისევ გამოვალდგები ნაკრებს. ოცნებისა არ იყოს, კაცი არც იმედს მოუკლავს.

**ნუკრი ლოლაძე**

საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი
26 მაისი ეროვნული სტადიონი
ამერი VS ზესტაფონი
www.pfl.ge
დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2. 3. 5 ლარი
მთავარი სპონსორი
ჯეოსელი GEOCELL
ოფიციალური სპონსორი
ფოლკსვაგენი VOLKSWAGEN
პარტნიორი
აქსისი
სპონსორები
BANK OF GEORGIA
I'm lovin' it
საინფორმაციო მხარდაჭერა
სარბიელი
ოლიმპი
FORTUNA
11×11
24 Hours

# აგარა: ჯერ ტკბილი, მერე მწარე

**ესეც** მოხდა — საქართველოს თასის პირველი მფლობელი „გურია" პირველი ლიგიდანაც დაქვეითდა. გურულებს „სპარტაკიც" მიჰყვა, რომელიც შარშან ამ დროს უმაღლესი ლიგიდან გავარდა. ჰოდა, ამათი გავარდნის ფონზე „ჩიხურას" სარეზერვო გუნდისა და ოზურგეთის „მერცხალის" რეგიონულ ლიგაში დაქვეითება ნაკლებ დამაინტრიგებელი ამბავია.

ერთი სიტყვით, სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ყველა გავარდნილი გუნდის ვინაობა გარკვეულია, ისევე როგორც უმაღლესში გადასულებისა.

გასარკვევი ერთიღა დარჩა — ვინ ითამაშებს პლეი ოფში, „გაგრა" თუ „მალაროელი"? არადა, ამ ტურის წინ მესამე ადგილზე „მეშაქრე" იყო და ერთმა წაგებამ მეექვსემდე ჩამოანაცვლა და საპლეიოფო შანსიც პრაქტიკულად გაუქრო.

## საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
32-ე ტური

გაგრა 3:1 სპარტაკი
ჩიხურა 2 1:3 მგლები
ამერი 2 0:0 ვიტ ჯორჯია 2
რაჭა 1:1 გურია
ზესტაფონი 2 5:2 მეშაქრე
მესხეთი 6:0 ოლიმპი
ნ. დინამოელი 0:2 მეშახტე
მერცხალი 0:4 სამტრედია
დინამო 2 0:1 მალაროელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 32 | 23 | 4 | 5 | 55:22 | 73 |
| მესხეთი | 32 | 21 | 6 | 5 | 65:17 | 69 |
| გაგრა | 32 | 16 | 6 | 10 | 49:35 | 54 |
| მალაროელი | 32 | 15 | 9 | 8 | 44:29 | 54 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 32 | 15 | 7 | 10 | 52:28 | 52 |
| მეშაქრე | 32 | 14 | 10 | 8 | 40:31 | 52 |
| ამერი 2 | 32 | 13 | 12 | 7 | 51:34 | 51 |
| ოლიმპი (თბ) | 32 | 13 | 8 | 11 | 49:40 | 47 |
| სამტრედია | 32 | 13 | 8 | 11 | 35:39 | 47 |
| ნ. დინამოელი | 32 | 14 | 4 | 14 | 46:45 | 46 |
| მეშახტე | 32 | 13 | 6 | 13 | 48:38 | 45 |
| ზესტაფონი 2 | 32 | 10 | 10 | 12 | 33:36 | 40 |
| დინამო 2 | 32 | 9 | 9 | 14 | 49:38 | 36 |
| რაჭა | 32 | 8 | 12 | 12 | 33:44 | 36 |
| ჩიხურა 2 | 32 | 8 | 5 | 19 | 26:59 | 29 |
| გურია | 32 | 7 | 7 | 18 | 33:71 | 28 |
| სპარტაკი | 32 | 7 | 6 | 19 | 18:46 | 27 |
| მერცხალი | 32 | 2 | 5 | 25 | 20:91 | 11 |

# საესის არმადა

## სახემკაცრ კაცს მკაცრი გუნდიც ჩამოჰყავს

**5 ივნისს** საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ევრო 2009-ის შესარჩევ ციკლს იწყებს და თან რა მატჩით — თბილისში ესპანეთს უმასპინძლებს. ქართველებს ჯგუფში ესპანელებთან ერთად, პოლონელი, რუსი და ყაზახი თანატოლები ჰყავთ მეტოქეებად. ჯგუფური ეტაპი ორ წრედ, ანუ რვა ტურად გაიმართება. ასეთი სულ 10 ჯგუფია და პლეი ოფში ჯგუფის საუკეთესოები და ოთხი მეორეადგილოსანი გავა. ეს 14 გუნდი კი შინ-სტუმრად მატჩებით შვიდ საუკეთესოს გამოავლენს, რომლებიც ფინალური ეტაპის მასპინძელ შვედეთს შეუერთდებიან.

ესპანეთი არათუ ჩვენი ჯგუფის, არამედ მთლიანად ჩემპიონატის ფავორიტია — პირინეელებს ამ ასაკში ყოველთვის მძლავრი ნაკრები ჰყავდათ, ტალანტები არასოდეს აკლდათ. თანაც ესპანეთის U21-ს ცნობილი ინაკი საესი წვრთნის. საესის კაცია, რომელიც 1997 წლიდან თავკაცობს თავისი ქვეყნის 21-წლამდელებს, 2002-04 წლებში კი ესპანეთის ეროვნულ გუნდსაც წვრთნიდა, თუმცა ევრო 2004-ზე პირინეელებს ჯგუფში პორტუგალიამ და საბერძნეთმა გაასწრეს, რის გამოც მკაცრი გამომეტყველების საესს პოსტი დაატოვებინეს და ნაკრები ლუის არაგონესს ჩააბარეს.

საესმა საქართველოსთან სათამაშოდ 18-კაციანი სია გამოაცხადა:

**მეკარეები**: ლუის ანტონიო ადანი (1986, რეალი), რობერტო ხიმენესი (1986, ატლეტიკო);

**მცველები**: ხოსე ანტონიო ბარაგანი (1987, დეპორტივო), სეზარ არსო (1986, უელვა), მიგელ ტორესი (1986, რეალი), სერხიო სანჩესი (1986, რეალი), ხერარდ პიკე (1987, სარაგოსა), იგნასიო მონრეალი (1986, ოსასუნა), სანჩეს ხოსე ენრიკე (1986, ვილიარეალი);

**ნახევარმცველები**: ალეხანდრო ალფარო (1986, სევილია), ხავი მარტინესი (1988, ბილბაო), ესკუდერო რაულ გარსია (1986, ოსასუნა), ბრუნო მარკოს გარსია (1987, ვილიარეალი), მიგელ პედრო ლეონი (1986, მურსია), მიგელ პალიარდო (1986, ვალენსია), ხოსე მანუელ ხურადო (1986, ატლეტიკო);

**თავდამსხმელები**: ფრანსისკო ტეხადა ხისკო (1986, ვესინდარიო), გონსალო მარტინეს სისი (1986, ვალიადოლიდი).

ასაკით U21-ში თამაშის უფლება „არსენალის" სესკ ფაბრეგასს, „ვალენსიას" დავიდ სილვასა და „რეალის" სერხიო რამოსსაც აქვთ, თუმცა ამ დონის ფეხბურთელებს ახალგაზრდულში არაფერი ესაქმებათ — სამივე ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში თამაშობს.

სათბილისო 18-კაციანი სიიდან ყველაზე პერსპექტიულებად გამთამაშებელი ხურადო და საყრდენი ნახევარმცველი რაულ გარსია ითვლებიან. ხურადო „რეალის" აღზრდილია, რაულ გარსიას კი „ვალენსია" და „ატლეტიკო" ეცილებიან ერთმანეთს. დაცვაში სხვებზე მეტად გამოცდილია მიგელ ტორესი, რომელიც ჯერ სისინიოს, მერე კი რობერტო კარლოსის ტრავმის დროს „რეალის" ძირითადში მუდმივად თამაშობდა. ვალენსიელ პალიარდოს კი ჩემპიონთა ლიგაშიც უთამაშია, თუმცა ძალიან იშვიათად.

„ვიცით, რომ ჯგუფის ფავორიტები ვართ. მეტოქეებს სიძლიერის მიხედვით არ ვყოფთ, ჩვენთვის ყველა თამაში მნიშვნელოვანია, მათ შორის საქართველოსთან მატჩიც. რაც მთავარია, კარგი სტარტი უნდა ავიღოთ და ვადამდე გავინაღდოთ პლეი ოფში გასვლა" — თქვა საესმა.

ინაკი 21-წლამდელებს დღეს და ხვალ ავარჯიშებს მადრიდის „დე ლა როზასის" ბაზაზე.

**ილია ნანობაშვილი**





# კობიაშვილის და თურქთა უზრობა?

**ლევან კობიაშვილი** და „შალკეს" თურქი ფეხბურთელები უბრად არიანო, ერთი-ორჯერ გაკვრით დაიწერა გერმანულ პრესაში. გელზენკირხენულ გუნდში სამი თურქია: ძმები ჰალილ და ჰამიტ ალტინტოპები და ახალგაზრდა მესუტ იოზილი.

კობი და იოზილი სხვადასხვა პოზიციის ფეხბურთელები არიან, თუმცა „შალკეს" მწვრთნელი მირკო სლომკა ტაქტიკას ხშირად ცვლის და ისე ხდება ხოლმე, რომ ძირითადში ან ჩვენიანი თამაშობს, ან იოზილი — ბოლო მატჩებში ისინი ერთმანეთს ხშირად ენაცვლებიან.

ბოლო ტურში „დორტმუნდთან" თამაშის 79-ე წუთზე სლომკამ იოზილის ნაცვლად ლევანი შეიყვანა — ტრადიციულად, ფეხბურთელები ამ დროს ერთმანეთს ხელს ართმევენ, თურქმა კი ჩვენიანს გვერდი აუარა. შეიძლება, ესეც შემთხვევის ამბავი იყო, მაგრამ თავშიც ვთქვით, გაზეთები ამაზე უკვე წერენ და...

**ლუკა თალაკვაძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | კატანია 1:1 | 25 | შეცვლაზე შევიდა | 17 | 1 | 4 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | დორტმუნდი 0:2 | 11 | შეცვლაზე შევიდა | 28 | 3 | 2 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | ს | კობლენცი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 24 | 3 | 10 |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი | შ | კაიზერი 1:1 | 90 | | 14 | 0 | 16 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | შ | კაიზერი 1:1 | 55 | გოლი, გააძევეს | 12 | 5 | 16 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | კარლსრუე 3:0 | 90 | გოლი | 30 | 10 | 4 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | კარლსრუე 3:0 | 0 | სათადარიგო | 12 | 1 | 4 |
| მათე ღვინიანიძე | მიუხენ 1860 | შ | ჰანზა 1:2 | 77 | შეცვალეს | 18 | 1 | 8 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | რედინგი 3:3 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 0 | 10 |
| **ჰოლანდია. პლეიოფი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | ტვენტე 2:0 | 61 | შეცვალეს, გააფრთხილეს | | | |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | სტალი 1:1 | 0 | | 4 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | სტალი 1:1 | 0 | | 6 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | ს | სტალი 1:1 | 0 | | 5 | 0 | 1 |
| გიორგი ქელიძე | ზარია | ს | ილიჩევეცი 1:0 | 6 | შეცვლაზე შევიდა | 8 | 1 | 12 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | შ | შახტარი 1:2 | 90 | გოლი | 14 | 3 | 13 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | ს | მეტალისტი 1:5 | 90 | გააფრთხილეს | 21 | 4 | 9 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | მეტალისტი 1:5 | 0 | - | 19 | 3 | 9 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 19 | 4 | 4 |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | | 3 | 0 | 4 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | ვორსკლა 1:2 | 90 | | 26 | 11 | 10 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | ს | ვორსკლა 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 19 | 1 | 10 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | დნიპრო 0:1 | 0 | სათადარიგო | 17 | 0 | 7 |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩევეცი | შ | ზარია 0:1 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 15 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი | ს | ხიმკი 0:0 | 90 | | 7 | 0 | 11 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ამკარი 2:1 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 14 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | ამკარი 2:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 14 |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | ლუჩ-ენერგია 3:0 | 76 | გოლი, შეცვალეს | 8 | 2 | 6 |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | როსტოვი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 7 |
| ალეკო ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | მოსკვა 1:0 | 90 | | 9 | 0 | 12 |
| ლევან გვაზავა | ნალჩიკი | შ | მოსკვა 1:0 | 34 | შეცვლაზე შევიდა | 7 | 0 | 12 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | შ | აეკ 3:1 | 88 | შეცვალეს | 19 | 2 | 6 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | ირაკლისი 1:2 | 90 | | 22 | 0 | 10 |
| **დანია. სასლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | ს | ესბიერგი 2:2 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 9 | 0 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*




# პრემიერლიგა აჯანყდა: ჩააჩაქუჩებენ ჩაქუჩებს?

**ინგლისის** პრემიერლიგის ხუთი კლუბი გაასაჩივრებს, რომ „ვესტ ჰემს“ ქულები არ დააკლეს.

შეგახსენებთ: ორი კვირის წინ „ჩაქუჩებს“ კარლოს ტევესის და ხავიერ მასკერანოს ტრანსფერებში წესების დარღვევა აღმოუჩინეს და ქულების დაკლებით ემუქრებოდნენ, მაგრამ 5 მილიონ გირვანქიანი ჯარიმა აკმარეს. შედეგად, „ვესტ ჰემმა“ პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა, რამაც ხუთი კლუბი გაანაწყენა.

აჯანყებულ ხუთეულში არიან: „მიდლსბრო“, „ფულემი“, „უიგანი“ „შეფილდი“ და „ჩარლტონი“.

ამათგან ბოლო ორი პრემიერლიგიდან გავარდა და ამიტომაც ამხედრდნენ „ჩაქუჩების“ წინააღმდეგ.

**გაჟა ხუციშვილი**



# ჯიმი ოპტიმისტია

**მსოფლიოს** 1966 წლის ჩემპიონი ჯიმი არმფილდი ყელის კიბოთია დაავადებული, მაგრამ გულს არ იტეხს.

„მიუხედავად იმისა, რომ ქიმიოთერაპიის კურსს მიტარებენ, პროგნოზი დამაიმედებელია. ოპტიმისტი ვარ და ვიმედოვნებ, რომ მომავალ სეზონს ცოცხალი შევხვდები“ — თქვა 71 წლის არმფილდმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისის შემადგენლობაში კი იყო, მაგრამ ტრავმის გამო ვერ ითამაშა. მან მთელი კარიერა (1954-1971) „ბლექბერნში“ გაატარა, ნაკრების მაისურა კი 43-ჯერ მოირგო.

**გაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## ჟოზე მაურინიუ

### მწვრთნელი

დაიბადა 1963 წლის 26 იანვარს სეტუბალში

სამწვრთნელო კარიერა: 2000-01 წლები — „ბენფიკა“, 2001-02 წლები — „ლეირია“, 2002-04 წლები — „პორტუ“, 2004 წლიდან — „ჩელსი“

ტიტულები: პორტუგალიის ჩემპიონი (2003, 2004), პორტუგალიის თასი (2003), პორტუგალიის სუპერთასი (2003), უეფას თასი (2003), ჩემპიონთა თასი (2004), ინგლისის ჩემპიონი (2005, 2006), ინგლისის ლიგის თასი (2005, 2007), კომუნითი შილდი (2005)






## MERCEDES S500

გამოშვების თარიღი: 2006 წელი

სიგრძე: 5,043 მეტრი

სიგანე: 1,855 მეტრი

სიმაღლე: 1,449 მეტრი

წონა: 1 925 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 5,5

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 285 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 5,4 წამში

ფასი: 124 000 დოლარი

# ჯუელი დარჩა და წავიდა

**„შეფილდთან“** მოგებული დრამატული მატჩიდან 24 საათში „უიგანის“ მწვრთნელი პოლ ჯუელი გადადგა. ამან გააკვირვა კლუბის შეფიც და ფანებიც, რადგან გუნდმა პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა და ჯუელის წასვლას არავინ ელოდა.

„უიგანი“ სამი წლის წინ ალზევდა ელიტაში და დამკვიდრდა კიდეც, მაგრამ მწვრთნელმა თავი ამოწურა და სხვაგან მიდის სამუშაოდ. მას ალბათ „მანჩესტერ სიტიში“ მიიწვევენ, რადგან იქიდან სტიუარტ პირსი გაუშვეს.

ჯუელის ნაცვლად კი „უიგანს“ კრის ჰათჩინგსი უთავკაცებს.

# ოუენის ტვინი

**„ნიუკასლის“** და ინგლისის ნაკრების ფორვარდი მაიკლ ოუენი პრემიერლიგის ბოლო ტურში „უოტფორდთან“ მატჩში დაშავდა — 67-ე წუთზე იგი თანაგუნდელს შეეჯახა და მოედნიდან გასაყვანი გახდა.

ექიმმა განაცხადა, რომ ოუენს ტვინის მსუბუქი შერყევა აქვს და მალე მომჯობინდება.

# ფინალის მერე გნახავ!

**„სანდი მირორის“** ცნობით, ჟოზე მაურინიუს წასვლა-დარჩენის საკითხი 19 მაისს გაირკვევა — ამ დღეს „მანჩესტერი“ და „ჩელსი“ ასოციაციის თასის ფინალში დაეჯახებიან.

რომან აბრამოვიჩმა სამჯერ გადადო ჟოზე მაურინიუსთან შეხვედრა და ფინალის შემდეგ ნახავს მწვრთნელს.

როგორც ამბობენ, ეს მატჩი გადაწყვეტს პორტუგალიელის ბედს, თუმც „ჩელსის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მარცხის შემთხვევაშიც კი მაურინიუს არ მოხსნიან.

# ჩელსიდან აპოელში

**„ჩელსის“** ფეხბურთელი ნუნუ მორაიში კვიპროსის „აპოელმა“ იყიდა და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. მან „ჩელსის“ შემადგენლობაში სულ სამჯერ ითამაშა შეცვლაზე.

2005-06 წლების სეზონი მორაიშმა იჯარით გაატარა „მარიტიმუში“, „აპოელში“ კი მას ორი პორტუგალიელი დახვდება.

უცნობია, თუ რამდენი გადაუხადა კვიპროსულმა კლუბმა „ჩელსის“.

# ჩააქრე!

**1 ივლისიდან** ბრიტანეთში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა აიკრძალება და ქომაგები სტადიონზე ველარ გააბოლებენ. „ლივერპულმა“ საკუთარ ვებგვერდზე უკვე გამოაქვეყნა ეს ცნობა გულშემატკივრებისთვის...

მსოფლიოში ყველაზე მწეველ ქვეყნად კი რუსეთი ითვლება — მოსახლეობის 30 პროცენტი პირველ ღერს 12 წლისა აბოლებს. რუსეთში ჯერ კანონი არ მიუღიათ, აი, ესტონეთში კი უკვე აიკრძალა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა.

# ჯიუტი სტივი

**რედინგელი** სტივ სიდველი „ჩელსიში“ გადადის, სადაც კვირაში 50 ათას გირვანქას გადაუხდიან. ეს კი სამჯერ მეტია იმაზე, რასაც ყოფილ კლუბში იღებდა.

24 წლის ნახევარმცველს „რედინგთან“ კონტრაქტი დაუსრულდა, არ გააახანგრძლივა და „ჩელსის“ უფასოდ ერგო. „რედინგის“ მწვრთნელმა სტივ კოპელმა თქვა, ბიჭი გავაფრთხილე, „ჩელსიში“ სათადარიგოობა გელის-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა და საკუთარ თავს დააბრალოსო.

# მეთოფის გეგმა

**ლონდონის** „არსენალს“ ნახევარდაცვის გასაძლიერებლად „ლიონიდან“ ალიუ დიარას ყიდვა უნდა. დიარამ „ლიონში“ სათანადოდ შეცვალა მიკაელ ესიენი, რომელიც შარშან „ჩელსიში“ გადავიდა.

მისი გადაბირებით დაინტერესებულნი არიან „ტოტენჰემი“, „ბოლტონი“ და „მანჩესტერ სიტიც“.

„ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით კი, „არსენალის“ სამიზნეზეა ბარსელონელი ნახევარმცველი ტიაგო მოტა. ბრაზილიელის შეძენას „ინტერი“ და „აიაქსიც“ ცდილობენ.

ხოლო „ატლეტიკო მინეიროდან“ ლონდონელი „მეთოფეები“ მეკარე დიეგო კარიერას და მცველ ვილიამის ყიდვას აპირებენ.

# ბერბატოვი გაორმაგდება

**„ტოტენჰემი“** დიმიტარ ბერბატოვს ჯამაგირს გაუორმაგებს. ამ სეზონში ბულგარელი კვირაში 22 ათას გირვანქას იღებდა, თუმც 22 გოლის გამტანი ფორვარდი მეტს იმსახურებს. მას „მანჩესტერი“ ეპატიჟებოდა, მაგრამ „ტოტენჰემს“ უერთგულა, რასაც დაფასება უნდა.

შარშან „მამლებს“ მაიკლ კარიკი „მანჩესტერში“ იმიტომ გაექცათ, რომ იქ მეტ ხელფასს შეჰპირდნენ. იგივე რომ არ განმეორდეს, „ტოტენჰემი“ ბერბატოვის ჯამაგირზე იზრუნებს.

# ძმურად, წადი ამსტერდამში

**„მანჩესტერს“** ამსტერდამის „აიაქსიდან“ კლაას-იან ჰუნტელაარის გადაბირება უნდა. „მირორის“ ცნობით, ალექს ფერგიუსონმა ფეხბურთელის სანახავად თავისი ძმა მარტინი ჰოლანდიაში გაგზავნა, რომელიც „აიაქსის“ და „ჰერენვენის“ ორივე საპლეიოფო მატჩს დაესწრო და შეიტყო, რომ ამსტერდამული კლუბი 12 მილიონ გირვანქას ითხოვს.

**გაჟა ხუციშვილი**

# რა კალჩოპოლი, რის კალჩოპოლი: იუვენტუსი კატასტროფის წინაშეა!




## ანტონიო ჯირაუდო და ლუჩანო მოჯი ყოფილმა დირექტორმაც ამხილა...

### რამდენათასიან საჩუქრებს გასცემდნენ ტურინელები და... მონაწილეობდა თუ არა ამ ყველაფერში უეფაც?

**ახალი** სკანდალი ემუქრება ტურინის „იუვენტუსს"!

„ბებერი ქალბატონის" ყოფილმა დირექტორმა მაურიციო კაპობიანკომ „ლა რეპუბლიკასთან" საუბარში ისეთები თქვა, რომ თუ ეს ყველაფერი დამტკიცდა, კალჩოპოლი ტურინელებისთვის მონაგონი იქნება.

მიუხედავად ამისა, „იუვენტუსის" ახლანდელი ხელმძღვანელობა სიმშვიდეს ინარჩუნებს, ყველა ბრალდებას უარყოფს და ცილისწამების გამო კაპობიანკოს, რომელიც ტურინულ კლუბში 1984-2005 წლებში მუშაობდა, სასამართლოში ჩივილით ემუქრება.

კაპობიანკოს თქმით, „იუვეს" ხელმძღვანელობა სისტემატურად უკეთებდა ძვირფას საჩუქრებს მსაჯებს, ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლებს, ჟურნალისტებსა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირებს; აფინანსებდა „ულტრასებს" და ასე შემდეგ.

„იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა უკვე დაიბარა ბატონი კაპობიანკო, რომელსაც ყველაფერს გამოვკითხავთ. მართლაც ძალიან საინტერესოა, რა იცის მან, ვინ იყო ამ ყველაფერში ჩარეული და ასე შემდეგ" — აღნიშნა საგამოძიებო ჯგუფის მეთაურმა ფრანჩესკო სავერიო ბორელიმ.

„მხოლოდ 2005 წლის პირველი ნაწილიდან მახსენდება, სულ მცირე, ოთხი შემთხვევა, როცა „იუვემ" ძვირფასი, არანაკლებ 15-ათასიანი საჩუქრები გაუკეთა ორ მსაჯს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ თანამშრომელსა და „ულტრასების" წევრებს. არსებობდა მესამე მხარე, რომელიც როგორღაც აზერხებდა მსაჯების მოთაფვლას. ეს ყველაფერი 1995 წლიდან დაიწყო, როცა გუნდში ლუჩანო მოჯი და ანტონიო ჯირაუდო მოვიდნენ" — განაცხადა კაპობიანკომ.

მოგეხსენებათ, კალჩოპოლის გამოძიებისას მხოლოდ 2004-05 და 2005-06 წლების სეზონები ამოქექეს. ეს ახალი ფაქტები კი, შესაძლოა, ახალი გამოძიებისა და შემდგომი სასჯელის საფუძველი გახდეს.

მაურიციო კაპობიანკო: „რატომ ავლაპარაკდი მხოლოდ ახლა? იმიტომ, რომ კალჩოპოლის სკანდალამდე ამ ყველაფერს კარგად ვერ ვაანალიზებდი, ახლა კი ფაქტები დავჯამდა და ვხვდები, როგორ ბინძურად მართავდა ეს ხალხი ამ დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ბრწყინვალე გუნდს".

აღსანიშნავია ისიც, რომ ტურინელთა ექსდირექტორის აზრით, რეალურად არც არაფერი შეცვლილა — მოჯი და ჯირაუდო კი წავიდნენ, მაგრამ სისტემა კლუბში უცვლელი დარჩაო.

„დღეს ალესიო სეკო იღებს ყველა გადაწყვეტილებას, კაცი, რომელიც ადრე მოჯის დარიგების გარეშე ნაბიჯსაც არ დგამდა. დარჩა რენატო ოპეციც, რომელიც ჯირაუდოს მარჯვენა ხელი იყო, ფინანსური დირექტორი მიკელე ბერგერო და მარკეტინგის დირექტორი ფასონეც ადგილზე არიან. ისინი ამას ახალ „იუვეს" ეძახიან, სახეები კი იგივეა" — განმარტა კაპობიანკომ.

ბოლოს კაპობიანკომ ძველი დოპინგ-სკანდალიც გაიხსენა და აღნიშნა, მოჯის უეფას გაჩუმებაც კი შეეძლოო — მაშინ „იუვენტუსის" რამდენიმე ვარსკვლავისთვის ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაიფარცხა.

„გაოცებული ვიყავი იმით, თუ როგორ გააჩერეს და გადაავორეს 1997 წლის დოპინგსკანდალი. მაშინ საქმეში უეფაც ჩაერთო და იტალიის ფეხბურთის ფედერაციასაც მიმართა, მაგრამ ყველაფერი იქვე ჩაწყნარდა..." — დასძინა კაპობიანკომ.

და ბოლოს, რა თქმა უნდა, ტურინის „იუვენტუსის" ოფიციალური განცხადება: „კლუბი კაპობიანკოს ყველა უსაფუძვლო ბრალდებას უარყოფს. ჩვენ სრულ ნდობას ვუცხადებთ ნოემბერში არჩეულ დირექტორთა საბჭოს და ვაგრძელებთ გუნდის სასიკეთოდ მუშაობას".

**გიორგი ძაძამიძე**

## თუ მიშვებთ, დროზე გამიშვით

**ჯანლუიჯი ბუფონის** თქმით, მას ერთ-ორ კვირაში ეცოდინება, დარჩება თუ არა „იუვენტუსში". იქამდე კი ტურინელებმა, წესით, ოფიციალურად უნდა გაინაღდონ სერია A-ს საგზური.

„სანამ რაიმეს გადავწყვეტ, ხელმძღვანელობას უნდა შევხვდე და ვესაუბრო. ვფიქრობ, ერთ-ორ კვირაში უკვე რაღაც კონკრეტული გვეცოდინება. თუ გადავწყვეტთ, რომ უნდა წავიდე, აჯობებს, რაც შეიძლება, მალე დამაყენონ ტრანსფერზე და კლუბიც მაქსიმალურ სარგებელს მიიღებს" — თქვა ბუფონმა.

29 წლის მეკარის არც ამ და არც მეორე კომენტარმა ნამდვილად არ გაახარა ტურინელთა ფანები — ჯიჯის აზრით, „იუვეს" კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება, რათა მყარად დადგეს ფეხზე და სერიოზული წარმატებისთვის იბრძოლოს...

„ჩვენ ილუზიებით არ ვცხოვრობთ და კარგად გვესმის, როგორ ვითარებაშიც ვართ — განაცხადა ბუფონმა — ერთი სეზონი საკმარისი არ არის იმ ყველაფრის შემდეგ დიდი გუნდის გასაკეთებლად".

ბუფონის ამ სიტყვების მიუხედავად, „ბებერი ქალბატონის" პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი ისევ ირწმუნება, არავის გაყიდვას არ ვაპირებთო...

„ჩვენ ბუფონს სეზონის ბოლოს შევხვდებით. მისი გაყიდვა არასოდეს მოგვსვლია თავში და ვერ ვხვდები, რამ უნდა შეგვაცვლევინოს გადაწყვეტილება. ჯანლუიჯის გაშვებას არ ვაპირებთ!" — განაცხადა კობოლი ჯილიმ.

საინტერესოა, რომ შაბათს „ბოლონიასთან" მატჩის წინ „იუვენტუსის" ქომაგების გარკვეულმა ჯგუფმა საპროტესტო აქცია მოაწყო გუნდის სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოსა და საერთოდ, ხელმძღვანელობის საწინააღმდეგოდ. ფანებმა კლუბის უფროსობას „მოყვარულები" უძახეს.

და ერთიც: „იუვენტუსის" ხელმძღვანელებმა უკვე არაერთხელ თქვეს, მთავარი მწვრთნელი დიდიე დეშანი არსად მიდისო და თავად ფრანგმა სპეციალისტმაც თქვა, ვრჩებიო, თუმცა იტალიურმა პრესამ კიდევ ერთი ახალი ცნობა გაავრცელა — შესაძლოა, „ბებერი ქალბატონი" „ლაციოს" თავკაცმა დელიო როსიმ ჩაიბაროს...

**კოკი კანდელაკი**





# კაკა: აღარ მინდა ნაკრებში! რონალდო: ნაკრებში მინდა! ადრიანო: რა დროს ნაკრებია!

**ცნობები** მილანელ ბრაზილიელებზე: კაკამ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციას განუცხადა, რომ კოპა ამერიკაზე არ ითამაშებს; რონალდოს სული მისდის, ისე უნდა ნაკრებში დაბრუნება; „ინტერის" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ კი ადრიანო გააფრთხილა, თუ იგი აშვებული ცხოვრების წესს არ შეიცვლის, შეუძლია, გუნდს დაემშვიდობოს.

ახლა უფრო დეტალურად...

კაკას ბრაზილიის ნაკრებში თამაში აღარ სურს. „მილანის" მოიერიშემ პენტაკამპეონთა მწვრთნელ დუნგას და CBF-ს (ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია) წერილი გაუგზავნა: „სამწუხაროდ, კოპა ამერიკისთვის შესაბამის ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ ფორმაში ვერ ვიქნები, ამიტომაც, გთხოვთ, ამ ტურნირში მონაწილეობისგან გამათავისუფლოთ".

კოპა ამერიკა ზაფხულში გაიმართება. იქამდე დროა და ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, თუმც ბოროტი ენები ამბობენ, კაკას და დუნგას ურთიერთობა გაუფუჭდათო.

ამასობაში, რონალდო, რომელსაც დღედაღამ ნაკრებში დაბრუნება ესიზმრება, ათენის საჩემპიონთალიგო ფინალს მოუთმენლად ელის — თუ კიჭას „მილანმა" „ლივერპულს" მოუგო, გაისად ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის მიღება აღარ დასჭირდება და რონიც ყურადღებას ნაკრებზე გადაიტანს.

აი, როგორ გადაწყვეტს თავაშვებული ადრიანოს ბედს რობერტო მანჩინი, ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ — „ინტერის" ფორვარდის შეძენით მადრიდის „რეალია" დაინტერესებული და ამბობენ, დიდი შანსია, ტრანსფერი შედგესო...

„ყველას გვინდა, ადრიანო ძველებურად ათამაშდეს. ამისთვის კი მან ცხოვრების სტილი უნდა შეცვალოს. მთავარია, დისციპლინა აღარ დაარღვიოს და სათანადო ფორმაში იყოს, დანარჩენი ჩვენი საქმე არ არის, ეს მისი პირადი ცხოვრებაა. რაც შეეხება ადრიანოს სავარაუდო ტრანსფერს, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. იქამდე, ისიც გასარკვევი გვაქვს, დარჩება თუ არა ერნან კრესპო" — თქვა მანჩინიმ.

**ლადო ხომერიკი**

# პრანდელის დელია გრძელდება


ლუკა ტონი მიდის, ჩეზარე პრანდელი რჩება...

**ფლორენციის** „ფიორენტინამ" მთავარ მწვრთნელ ჩეზარე პრანდელის კონტრაქტი გაუხანგრძლივა — ბოლო წლების სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ტაქტიკოსი „იებში" 2011 წლის 30 ივნისამდე დარჩება.

მთელი სეზონის მანძილზე ამბობდნენ, პრანდელი ალბათ „ფიორენტინას" დატოვებს, რადგან ბევრი მსურველი ჰყავს, რომლებიც მიმზიდველ წინადადებებს შესთავაზებენო. თუმცა კვირას „კალიარისთან" მოგებული მატჩის შემდეგ ფლორენციელთა პრეზიდენტმა ანდრეა დელა ვალემ განაცხადა, კონტრაქტი უკვე გავახანგრძლივეთო.

„პარმასა" და „რომას" ექსთავკაცმა „იები" შარშანწინ ზაფხულს ჩაიბარა და გუნდი ოთხეულშიც გაიყვანა. თუმცა ამას კალჩოპოლის სკანდალი მოჰყვა და „ფიორენტინამ" ეს სეზონი მინუს 15 ქულით დაიწყო. ამის მიუხედავად, ფლორენციელებმა მაინც წარმატებულად ჩაატარეს სეზონი და, თუ სასწაული არ მოხდა, უეფას თასზეც ითამაშებენ. ის -15 ქულა რომ არა, „იები" ახლა მესამე ადგილზე იქნებოდნენ...

„ეს დაუვიწყარი სეზონი გახლდათ. ბიჭებმა საოცარი შემართებით ითამაშეს და, ვფიქრობ, ფანებიც კმაყოფილნი უნდა იყვნენ" — აღნიშნა პრანდელიმ.

მომავალი სეზონიდან „ფიორენტინას" ალბათ ლუკა ტონის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. „იების" მთავარმეგოლის წასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. იგი, სავარაუდოდ, მიუნხენის „ბაიერნში" გადავა.

„ტონიმ „ფიორენტინასთვის" ბევრი კარგი გააკეთა. თუმცა ჩვენ გვყავს ჯამპაოლო პაცინი, ახალგაზრდა და დიდი პოტენციალის მქონე, რომლისაც ყოველთვის გვჯეროდა. იგი კიდევ მოუმატებს და მომავალ სეზონში გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნება" — დასძინა პრანდელიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ვიბრძოლოთ პეპესთვის

**ტურინის** „იუვენტუსი" პორტუელი პეპესთვის ბრძოლაში ჩაერთო — წერს „გაძეტა დელო სპორტი".

ტურინელები „პორტუს" ფაბრიციო მიკოლის სთავაზობენ, რომელიც ამჟამად „იუვედან" ლისაბონის „ბენფიკაშია" განათხოვრებული.

„იუვენტუსს" რეჯინელი მეგოლე როლანდო ბიანკის ყიდვაც უნდა და, როგორც ცნობილი გახდა, მის სანაცვლოდ ფულსაც გადაიხდის და ახალგაზრდა ფეხბურთელ კლაუდიო მარკიზიოსაც დაუთმობს „რეჯინას".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ანჩელოტის ყველაფერი შევჩენკოს ეკუთვნის...



**ანდრეი შევჩენკოს** „მილანში" დაბრუნების შანსები იზრდება. ყოველ შემთხვევაში, „როსონერის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ აღნიშნა, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შევა „სან სიროზე" დაბრუნდესო.

„მგონი, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ჩვენი პოზიცია კარგად ჩამოაყალიბა. ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შევჩენკოს დასაბრუნებლად შეგვეძლება. თუმცა ეს ფინანსურადაც და ისედაც ძალიან რთული ტრანსფერია. ანდრეი „ჩელსის" საკუთრებაა და მთავარი სიტყვა ახლა ლონდონელებზეა" — განაცხადა „მილანის" თავკაცმა.



შევჩენკო ერთადერთი ვარსკვლავი არ არის, რომელსაც ბოლო პერიოდში „როსონერის" უკავშირებენ. სასურველთა შორის არიან რონალდინიო, სამუელ ეტოო, ფრანკ რიბერი...

კარლო ანჩელოტი: „ეტოო, რონალდინიო და შევჩენკო ისეთი დონის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც ნებისმიერი გუნდის გაძლიერება შეუძლიათ. ასევე ძალიან მომწონს ფრანკ რიბერი. იგი დაუღალავი და ძალიან სასარგებლო მოთამაშეა და მსოფლიოს ჩემპიონატიც ბრწყინვალედ ჩაატარა".

**გიორგი ძაძამიძე**

# მიდის, მოდის, დგას გვიდოლინი წინა ცხოვრებაში კარი იყო

**სიცილიური** „პალერმოს" ექსცენტრულ პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინის თითქმის მთელი სეზონის მანძილზე გუნდის მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის ლანძღვის მეტი არაფერი უკეთებია და, ბოლოს და ბოლოს, იგი მოხსნა კიდეც, მაგრამ... ახლა ისევ დააბრუნა, სეზონის ბოლო ორი მატჩისთვის მაინც...

გვიდოლინის წასვლის შემდეგ „პალერმოს" დროებით რენცო გობი თავკაცობდა. მის ხელში გუნდმა ერთი მატჩი მოიგო, მერე შინ დამარცხდა უმოტივაციო „რომასთან" და ახლა უკვე გავარდნილ „ასკოლისთანაც" წააგო. ამის გამო სიცილიელებმა ეგებ უეფას თასის საგზური დაკარგონ.

აღვნიშნოთ ისიც, რომ ძამპარინიმ რამდენიმე წლის წინაც გააგდო გვიდოლინი და მერე დააბრუნა. მსგავსი ფაქტი მიმდინარე სეზონშიც მოხდა, „კალიარისთან" საშინაო მარცხის შემდეგ „პალერმოს" პრეზიდენტმა ცხელ გულზე თქვა, ეს გვიდოლინის ბოლო მატჩი იყოო, მაგრამ რამდენიმე საათში გადაიფიქრა.

მაურიციო ძამპარინი: „ძალიან აღელვებული ვარ, „ასკოლისთან" წაგება უკვე ყველა საზღვარს გასცდა. მომავალი მატჩისთვის მოსამზადებლად გუნდი რომში გაემგზავრება, რადგან ამათი პალერმოში ნახვა აღარ მინდა. თუ „სიენასთანაც" ვერ მოიგებენ, ეს ყველასათვის დასასრული იქნება".

**კოკი კანდელაკი**



# ფეხბურთი კაზინო არ არის!


AFP

„ესპანიოლთან“ თამაშის შემდეგ მადრიდული გაზეთები წერდნენ, ამქვეყნად მოსვლა და ცხოვრება მარტო იმად ღირდა, 12 მაისს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ეპიკური ჯახი რომ გვეხილაო. ფაბიო კაპელოს „რეალმა“ მართლაც სასწაული მოახდინა და უეფას თასის ფინალისტ „ესპანიოლს“ ბრწყინვალე მატჩში 4:3 მოუგო. ბედნიერ იტალიელს მატჩის მერე „ასის“ ჟურნალისტი ესაუბრა...

— ამ სეზონში უკვე მერვე შემთხვევაა, როცა თქვენმა გუნდმა წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ ივაჟკაცა და მატჩი გამარჯვებით დაასრულა. როგორ ფიქრობთ, ბედი გწყალობთ თუ დაძაბული შრომის შედეგს იმკით?

— ჩემს ფეხბურთელებში ყველაზე მეტად მატჩის შემოტრიალების სურვილი მომწონს. ძალიან კმაყოფილი ვარ — ბიჭებმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს. თამაშამდე ვამბობდი, რომ „ესპანიოლი“ ძალიან ძლიერია, რაც გამართლდა კიდეც — სამი შესანიშნავი გოლი გაგვიტანეს.

— რა იყო უფრო მნიშვნელოვანი: ფეხბურთელთა თავდადება თუ ის ცვლილებები, რომელიც თქვენ განახორციელეთ?

— ორივე. გუტის ტრავმა აწუხებდა და რადგან 1:3-ს ვაგებდით, რამე ხომ უნდა გველონა. როგორც ხედავთ, შეცვლებმა სასიკეთო შედეგი მოიტანა. ფეხბურთელებმა კი მართლაც შეუპოვრად იბრძოლეს. ალმაფრენისა და გამარჯვებისადმი სწრაფვის გარეშე, რაოდენ ძლიერიც უნდა იყო, საბოლოოდ მუდამ წაგებული დარჩები.

— მიუხედავად გამარჯვებისა, ჩანს, რომ „რეალს“ დაცვაში პრობლემები ჯერაც არ მოუგვარებია. „ესპანიოლის“ ორი გოლი მცველების გაუმართლებელი უყურადღებობის გამო გავიდა...

— მითხრეს, რომ ის ორი გოლი თამაშგარედან გავიდა... მეტოქეს კარში ბევრჯერ არც დაურტყამს. სულ ოთხჯერ გაისროლეს და აქედან სამჯერ გაგვიტანეს — ამას მე კარგ ბედს დავარქმევდი. თუმცა ვაღიარებ, რომ მათი სამივე გოლი ეფექტური გახლდათ.

— წინა კვირას „ბერნაბეუზე“ უეფას თასის მეორე ფინალისტი „სევილიაც“ დაამარცხეთ. მაშინ ენცო მარესკამ თქვა, ფაბიო კაპელო იღბლიანი კაციაო...

— რა თქმა უნდა, იღბალი მნიშვნელოვანია, თუმცა, თუ ზარმაცი ხარ, ქუდბედიანობა ვერაფერს გიშველის. ბოლოს და ბოლოს, ეს კაზინო ხომ არ არის?! ფეხბურთში იმიტომ იმარჯვებ, რომ გუნდი, სამწვრთნელო შტაბი და ექიმები მუშაობით დღე და ღამეს ასწორებენ... ბედიც დიდ როლს ასრულებს: ხან შედის ბურთი კარში და ხან არა. ამ შემთხვევაში ფორტუნასთან სამდურავი არ მეთქმის.

— „ესპანიოლთან“ გამარჯვება ისე აღნიშნეთ, თითქოს ჩემპიონობა მოგეგოთ...

— დამეთანხმებით, რომ ასეთი თამაშის ბედის შემოტრიალება ადვილი საქმე არ არის. გულშემატკივართა მხრიდან მხარდაჭერაც ძალიან დიდი იყო. დარწმუნებული ვარ, ასეთი ქომაგობით ყველა დარჩენილი მატჩის მოგება შეგვიძლია. ეიფორია ყოველთვის კარგია, თუმცა შრომის გარეშე ვერაფერს მიაღწევ.

— გაგვიმხელთ, ბიჭებს შესვენებაზე გასახდელში რა უთხარით?

— ეს მხოლოდ ჩვენ ვიცით, მე და ჩემმა ფეხბურთელებმა...

# რა დროს პამელა ანდერსონია?!

## გონსალო იგუაინი: ქალის ბურთებს ფეხბურთის ბურთები მირჩევნია

„ესპანიოლთან“ 90-ე წუთზე გონსალო იგუაინის მიერ გატანილმა გოლმა არგენტინელი „პიპიტა“ მატჩის გმირად აქცია, ხოლო სამეფო გუნდს პრიმერადივიზიონის ლიდერობა მოუტანა.
მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ ის და მისი თანაგუნდელები თავს უკვე პრიმერას ჩემპიონებად თვლიან...

— „რეალი“ უკვე ცხრილის სათავეშია...

— დიახ, ყველაფერი ისე მიდის, როგორც ჩვენ გვინდოდა. ძალიან გვიხარია, რომ ლიდერები ვართ. მოსავალს ვიმკით — ჩვენ ხომ თავდაუზოგავად ვიმუშავეთ...

— ელოდით, რომ „ბარსელონა“ „ბეტისთან“ წაიბორძიკებდა?

— გულწრფელად რომ გითხრათ, არა, მაგრამ ასე მოხდა და „ბარსას“ „საჩუქრით“ კმაყოფილნი ვართ. ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე ვართ დამოკიდებულნი — საჩემპიონო გზაზე ვდგავართ...

— თან მომავალ ტურში „ბარსას“ სტუმრად „ატლეტიკოსთან“ უწევს თამაში...

— კატალონიელებს „ატლეტიკოსთან“ ძალიან გაუჭირდებათ. რატომღაც მგონია, რომ იქ უფრო მეტ ქულას დაკარგავენ...

— „ესპანიოლთან“ მატჩზე ვისაუბროთ...

— შესანიშნავი იყო. ეიფორიაში ვიყავი — ხუმრობა საქმე ხომ არაა, მნიშვნელოვანი მატჩი ჩემი გოლით მოვიგეთ, თან აქ პირველად გავიტანე. დავამტკიცეთ, რომ ჩემპიონობაზე პრეტენზიას სერიოზულად ვაცხადებთ — ეს მთელმა ქვეყანამ ნახა. ახლა წინ ოთხი ტური, ოთხი ფინალი, რომელთა არმოგებაც არ შეიძლება. „ესპანიოლთან“ შეხვედრა იმ მატჩების კატეგორიას განეკუთვნება, რომლებზეც ნატრობ, რომ უსასრულოდ გაგრძელდეს.

— იმ გოლს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პირველის კვალობაზე არა უშავდა, ხომ ასეა?

— თუ ღმერთი გწამთ! ძალიან ბედნიერი ვარ. ფეხბურთელი ყოველთვის გამარჯვების გოლის გატანაზე ოცნებობს და ამას განსაკუთრებით მაშინ აქვს ფასი, როცა პირველი ტაიმი 1:3 გაქვს წაგებული... თავიდან საშინლად ვითამაშეთ, მაგრამ შესვენების მერე გონს მოსვლა და მოგება შევძელით.

— წარმომიდგენია, გოლის გატანის შემდეგ რას იგრძნობდით... „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამარჯვების გოლის შეგდება უფრო მაგარია, ვიდრე დავუშვათ, გიჟური ღამე პამელა ანდერსონთან?

— რა გიპასუხოთ... ეს უმაღლესი სიამოვნება იყო, დაუჯერებელი, დიდი ბედნიერება. მართლა შეშლილივით ვიყავი... ტრიბუნების რეაქციაც არასოდეს დამავიწყდება. რაღა დროს პამელაა...

— მატჩის შემდეგ დაძინება შეძელით?

— გაბრუებულივით ვიყავი, წესიერად ვერც ვხვდებოდი, რა მოხდა. ახლაღა ვტკბები იმ გამარჯვებით.

— ამბობენ, რომ თქვენი გოლი მარტო ერთი მატჩის მოგებას კი არა, „რეალის“ ჩემპიონობასაც ნიშნავს...

— ამის თქმა დარწმუნებით არ შემიძლია, თუმცა ისიც ცხადია, რომ ლიდერები ვართ და ჩემპიონობისთვის ვიბრძვით.

— მაგრამ ტრიბუნებმა „ესპანიოლთან“ 4:3 ისე იზეიმა, თითქოს ტიტული უკვე მოგეგოთ...

— როცა ანგარიში 1:2 გახდა, საქმის გამოსწორება იყო საჭირო და უცებ მესამეც გაგვიტანეს... მიხვდებოდით, შესვენებაზე გასახდელში რაზეც ვილაპარაკეთ და მოედანზე დაბრუნებამდე საერთო აზრამდე მივედით — ეს მატჩი ასე არ უნდა დამთავრდეს, რაც უნდა მოხდეს, ჩვენ გავიმარჯვებთ! ქომაგებმაც ღირსეულად დააფასეს „რეალის“ შრომა. როცა მეოთხე გოლი შევაგდე, სტადიონი კინაღამ აფეთქდა.

— კი მაგრამ, პირველ ტაიმში რა დაგემართათ?

— „რეალმა“ ისე დაიწყო პირველ, როგორც ამას ყველა მატჩში აკეთებს. თუმცა მეტოქემ სამი ლამაზი გოლით გაგვაკვირვა. აი, მეორე ტაიმში კი მოედანზე მხოლოდ ჩვენ ვბატონობდით.

— შესვენებაზე კიდევ რა უთხარით ერთმანეთს?

— არაფერი, გარდა იმისა, რაც უკვე მოგახსენეთ — ის, რომ თამაში უნდა მოგვეგო. ვიცოდით, რომ პირველი ტაიმი ჩავაგდეთ და ახლა შეცდომების გამოსწორება იყო საჭირო, ქულები აღარ უნდა დაგვეკარგა. „რეალის“ აქტიურობამ, თავგანწირვამ და სიმამაცემ სამი ქულა მოიტანა.

— ამ სეზონში ორი გოლი შეაგდეთ და გუნდს უმნიშვნელოვანესი ქულები მოუტანეთ...

— ფანტასტიკურია, როცა ასეთი მნიშვნელოვანი გოლი გაგაქვს.

— მადრიდის „რეალში“ მოსვლიდან 12 მაისი გონსალო იგუაინისთვის ყველაზე ბედნიერი დღე იყო?

— რა თქმა უნდა! იმედია, ბევრი ასეთი დღეები მექნება, მაგრამ ამას ვერასოდეს დავივიწყებ.


გონსალო იგუაინის მაისურა
რუუდ ვან ნისტელროიმ
ბაირაღად აქცია
AFP

— ახლა უკვე ნაკლები შანსია იმისა, რომ ოქროს მედლები ხელიდან გაგისხლტეთ...

— გეთანხმებით, როგორც ემერსონმა თქვა, ახლა ნამდვილად ვაჩვენებთ, რომ გუნდი ვართ. ჩვენთან თავს ყველა მხნედ გრძნობს და დღევანდელი „რეალის“ დამარცხებაც ძალიან ძნელია. ოთხი ფინალი დაგვრჩა და თუ ყველა მოვიგეთ, ოქროც ჩვენი იქნება.

— გუნდში სჯერათ, რომ ეს პრიმერა „რეალს“ ეკუთვნის?

— ამას ადრეც ვფიქრობდით. მაშინაც კი, როცა „ბარსას“ ათი ქულით ჩამოვრჩებოდით, ვიცოდით, რომ ჩემპიონობისთვის უნდა გვებრძოლა. ამიტომაცაა, დღეს ლიდერები რომ ვართ.

— თქვენი გამარჯვების საიდუმლო, როგორც ჩანს, ერთსულოვნებაა...

— დავამტკიცეთ, რომ დიდი გუნდი ვართ. ასეთ გამარჯვებას სუსტი ვერ შეძლებდა.

— გასახდელში ფიესტა იყო?

— სიგიჟე იყო! რაც მოედანზე დაიწყო, ის გასახდელში გაგრძელდა. კაცი არ მეგულება მადრიდის „რეალში“, ახლა ბედნიერი რომ არ იყოს.

— რუუდ ვან ნისტელროიზე რას გვეტყვით? ჰოლანდიელი თქვენს მაისურას დროშასავით აფრიალებდა...

— გოლი რომ გავიტანე, მაისურა გავიძვრე და სადღაც მოვისროლე. მერე ის რუუდმა აიტაცა და ტრიბუნების წინ აღმართა. შემდეგ თანაგუნდელთა ხვევნას ძლივს დავაღწიე თავი და რას ვხედავ, რუუდი კვლავ ჩემი მაისურითაა! მაშინ გავიფიქრე, აი, შეხედე, შენს მაისურას რუუდ ვან ნისტელროი დროშასავით აფრიალებს, ამაზე მეტი პატივი ახალგაზრდა ბიჭმა რაღა უნდა ინატროს?

— ეტყობა, სამეფო გუნდის შემადგენლობასთან ადაპტაცია სირთულეების გარეშე გაიარეთ...

— ნამდვილად ასეა.

— და ფაბიო კაპელო?

— მწვრთნელმა გოლი და გამარჯვება მომილოცა. ეს იყო და ეს.

— გუნდი თავს უკვე ჩემპიონად გრძნობს?

— დიახ, „ესპანიოლთან“ ჩემპიონებივით ვითამაშეთ!

— უკვე წარმოიდგინეთ, თუ როგორ ზეიმობთ სიბელესის შადრევანთან „რეალის“ ჩემპიონობას?

— დიახ, აბა, სიბელესის გარეშე როგორ იქნება?! რაც „რეალში“ მოვედი, ამაზე მას შემდეგ ვფიქრობ.



# იოჰან კრუიფის 2 სვეტი



ესპანეთის ჩემპიონატი ძალიან დაიძაბა — თითქოსდა განწირულმა „რეალმა“ ბრწყინვალე გამარჯვებების სერია მიაწყო, ხოლო ფავორიტმა „ბარსელონამ“ ქომაგობას ქულათა განიავებით გაუხეთქა გულები და ახლა საჩემპიონო ორთაბრძოლა უკიდურესად გამწვავდა.

ლეგენდარულმა იოჰან კრუიფმა კი „ლა ვანგვარდიაში“ ლა ლიგის ფალავნებზე წერილი გამოაქვეყნა. ალბათ მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რას ფიქრობს დიდი ჰოლანდიელი...

„ახლა წუწუნის დრო არ არის. ამა თუ იმ პიროვნების დადანაშაულება და გუნდის გამათრახება, უბრალოდ, უსინდისობა იქნება. ცდება ის, ვინც „ბარსას“ წარუმატებლობის გამო ჯვარზე გაკვრას ახლა უპირებს. ეს ხომ ძალიან ადვილია — გუნდმა ვერ მოიგო, ესე იგი, უნდა შევრისხოთ! მესმის, რომ „ბარსელონას“ ქომაგთა უმრავლესობას მათი გუნდის ჩემპიონობის აღარ სჯერა, თუმცა ამ სეზონში პრიმერაში იმდენი რამ მოხდა, არ გამიკვირდება, ბედმა ჩემპიონატის ბოლოსკენ სიურპრიზი შემოგვთავაზოს. მართალია, ტიტულის მოგება მარტო „ბარსაზე“ აღარ არის დამოკიდებული, მაგრამ ახლა რინგზე პირსახოცის გადაგდება უფსკრულში ჩაჩეხვას ნიშნავს...

...ცდებიან ისინი, ვისაც ხელში ჩირაღდანი და ფიწალი უჭირავს და ფეხბურთელების წინააღმდეგ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ მოითხოვს. როცა საქმე ფუჭდება, ნაწილ-ნაწილ დაყოფა კი არა, ერთ მუშტად შეკვრაა საჭირო. სრული უარყოფა იმისა, რაც დადებითად არ ჩანს, ცუდი იდეა არ არის, მაგრამ იქნებ მცირე დაფიქრებაა საჭირო, ვიდრე ხელში ქირურგის სკალპელს აიღებდეთ? ვიმეორებ: როცა საქმე ცუდად მიდის, ერთიანობაა საჭირო...

...როგორც კი მეორე წრე დაიწყო, ვთქვი, რომ ფეხბურთი ციკლებადაა დაყოფილი. თითოეული ციკლი 3 ან 4 წელიწადს გრძელდება, ან კიდევ შედარებით მეტ ხანს, ოღონდ ეს იშვიათ შემთხვევაში. მაშინ, როცა ეს ვთქვი, „ბარსა“ ჩემპიონთა ლიგაშიც „ცოცხალი“ იყო, პრიმერას ლიდერიც გახლდათ და „რეალი“ მთელი ხუთი ქულით ჩამორჩებოდა. თან ზუსტად იმ პერიოდში კატალონიელებმა „რასინგს“ შინ 2:0 მოუგეს. მაშინვე ერთი ამბავი ატყდა, გაზეთებმა მთელ ქვეყანაზე დააქუხეს: იოჰანმა „ბარსელონას“ მომგებიანი ციკლის დასასრულზე განაცხადაო. ასეთი რამ კი მე არ მითქვამს. ვინც სწორად გაიგო კრუიფის ნათქვამი, ხომ კარგი და ვინც დღესაც გაუგებრობაშია, თავაზიანად გავუმეორებ: კრუიფმა მაშინ განაცხადა, რომ „ბარსამ“ ოთხწლიანი წარმატებული პერიოდის შემდეგ მიაღწია იმ წერტილს, რომლის მერეც გუნდში სერიოზულად უნდა დაფიქრებულიყვნენ, რა გაეკეთებინათ და სამომავლოდ განვითარების რომელი გზა აერჩიათ. გადაწყვეტილება გუნდის უფროსობამ ამ სეზონში მიღწეული შედეგის გაუთვალისწინებლად უნდა მიიღოს, მნიშვნელობა არ აქვს, გუნდი ყველაფერს მოიგებს თუ სულ უტიტულოდ დარჩება. აღვნიშნე, რომ ახალი, რთული პერიოდი მოდიოდა, ცვლილებათა პერიოდი...

...ახლა განვიმარტავთ, რას ვგულისხმობდი „ცვლილებებში“ — როცა ძლევამოსილი ეპოქის შემდეგ გუნდი „ჩვეულებრივ“ ცხოვრებას უბრუნდება, მისი მიზანი საუკეთესოობა კი არა, საუკეთესოთა შორის ყოფნა უნდა იყოს. კი, შენ მსოფლიოს საუკეთესო იყავი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეხი დაგეცეს და მომავალ წელს საერთოდ გაქრე საფეხბურთო რუკიდან — ამ ორი პოლუსის შუალედიც ხომ არსებობს? და რა არის ეს ოქროს შუალედი? უპირველეს ყოვლისა, უნდა დავიმახსოვროთ, რომ ყოველ წელს საუკეთესო ვერ იქნები. საჭიროა იმ 5-6 გუნდს შორის ყოფნა, რომელთა სათამაშო სტილს, ნიჭიერებას და გამარჯვებისადმი სწრაფვას დიდი ჯილდოებისკენ მივყავართ. შემდეგ კი ამ პოლიტიკის შედეგიც ნათლად გამოჩნდება. აი, ამის თქმა მინდოდა...

...„რეალი“ მატჩის ბოლო წუთზე ზეიმობს გამარჯვებას და „ბარსას“ დრამაც საფინალო სასტვენიდან რამდენიმე წამით ადრე თამაშდება. იგივე მატჩები, იგივე თამაში, ყველაფერი ერთნაირი, გარდა იმ ბოლო წუთისა. საერთო ფონს ეს უცნაური წუთი რომ ჩამოვაცილოთ, მერწმუნეთ, ლა ლიგის პანორამა სავსებით სხვანაირი იქნებოდა. თუმცა ასეთ ტურნირში ბედიც ხელს უნდა გიწყობდეს. მე ამას „ბედს“ ვეძახი, მაგრამ მისი არსებობისა ნაკლებად მჯერა... რისიც მჯერა, ეს ხალხის მხარდაჭერაა. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს კი კლუბის უფროსობა მაშინვე მიიღებს, როგორც კი ეს სპორტული კურსი დასრულდება...

...რა უნდა ვთქვათ მათზე, ვინც „ბარსელონას“ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს გააფთრებით ლანძღავენ? განა ეს იგივე ხალხი არ არის, როცა ფრანკმა გამოაცხადა, „კამპ ნოუზე“ ვრჩებიო, სიხარულით ცას რომ ეწია? რა, დამნაშავეებს ეძებთ? კი, ბატონო, ეძიეთ. მე კი გეტყვით, რომ ზოგი ნაკლებად, ზოგიც მეტად, მაგრამ გუნდის ჩავარდნაში მაინც ყველა დამნაშავეა. აბა, წარმოიდგინეთ, ბრალდება მარტო ორ, სამ ან თუნდაც ოთხ პიროვნებაზე რომ ნაწილდებოდეს — ხომ კარგი იქნებოდა? ყველაფერი იოლად მოგვარდებოდა, მაგრამ ფეხბურთიც აღარ იქნებოდა ფეხბურთი. ყველა დამნაშავეაო, რომ ვამბობთ, მარტო ფეხბურთელები არ იგულისხმებიან — ამ ბიჭებზე ადრე უკვე ვთქვი, მათთვის მიუჩვეველ პრობლემებს წააწყდებიან და ძალიან გაუჭირდებათ-მეთქი. ეს თაობა მოგებებზეც სწავლობს და წაგებებზეც. ამ გუნდმა, რომლის ჩამოყალიბებაც პრაქტიკულად ნულიდან დაიწყო, ზედიზედ ორი პრიმერადივიზიონი და ერთხელ ჩემპიონთა ლიგა მოიგო. დღეს კი შედეგთა შეჯამების დროც დადგა. ჩამთავრდეს ეს სეზონი და გადაწყვეტილებები მერე მივიღოთ.





# გლაზგო: ახდენილი და ასასხდენი ოცნება

## კაცისა და ფინალის რთული ურთიერთობის ამბავი

თუკი უეფას თასის ფინალის წინ „ესპანიოლიდან“ ვინმე ნერვიულობს, ეს მწვრთნელი ერნესტო ვალვერდეა. რატომ? იმიტომ, რომ მან კარგად იცის, რა მწარეა ფინალამდე მისვლა და იქ დამარცხება: ქალაქ ბარსელონას ეს გუნდი 1988 წელსაც იყო უეფას თასის ფინალში. პირველ შეხვედრაში „ესპანიოლმა“ „ლევერკუზენს“ 3:0 მოუგო, საპასუხოში კი გოლის გაუშვებლად მხოლოდ მეორე ტაიმამდე გაძლო, რის შემდეგაც გატყდა — გერმანელებმა პენალტებში გაიმარჯვეს.

გარდა „ესპანიოლისა“, ვალვერდეს ქალაქის მეორე ბოლოში, „ბარსელონაშიც“ უთამაშია და 1989 წელს „სამპდორიასთვის“ თასების თასი აურთმევია. მაშინდელმა „ბარსამ“ 1990-ში ესპანეთის სამეფო თასის ფინალში მადრიდის „რეალი“ დაძლია, ოღონდ... ვალვერდემ ამაში სათადარიგოთა სკამიდან მიიღო მონაწილეობა.

და კიდევ, ერნესტო ვალვერდემ ფეხბურთის თამაშს თავი „მალიორკაში“ დაანება. რომელი წელი იყო? რომელი და 1999, ანუ ვალვერდე გუნდში 97-ში მივიდა და კუნძულელებმა ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში ესპანეთის თასისა და თასების თასის ფინალებში გააღწიეს კიდეც...

მოკლედ, უცნაურად გამოდის: სადაც ვალვერდეა, იქ ფინალიცაა, მაგრამ მერე ამ ფინალებში მეტი წილი წაგებაა ან... სათადარიგოთა სკამზე ჯდომა.

ერთი სიტყვით, ხეირი ნაკლებია.

და აი, ხვალ, 107 წლის „ესპანიოლი“ ვალვერდეს მორიგ ფინალში გაჰყავს. ბუნებრივია, ბოლო დღეები 43 წლის მწვრთნელს დაძაბული და დაკავებული ჰქონდა. გუნდის მომზადებას ვინ ჩივის, ყოველდღე ინტერვიუების დარიგებას გაძლება არ უნდა? მერედა, სრულიად ბუნებრივად, ბარსელონელთა თავკაცს ხშირად ერთსა და იმავე კითხვებზე უწევდა პასუხის გაცემა, თუმცა მის პასუხებში ორიგინალური და საინტერესოც ბევრი გახლდათ...

„ფეხბურთელობისას, ჩემი გუნდი ამა თუ იმ ევროპული თასის ფინალში რომ გადიოდა, მეტოქედ „რეინჯერსს“ ვოცნებობდი ხოლმე. ეს იმიტომ, რომ ძალიან მინდოდა, „ჰემპდენ პარკზე“ მეთამაშა, მაგრამ მთელმა კარიერამ ისე ჩაიარა, რომ „ჰემპდენზე“ კი არა, შოტლანდიაში, ინგლისში, უელსსა თუ ირლანდიაში ერთხელაც არ მომიწია ბურთის გაგორებამ. ამით თავმობეზრებული ერთხელაც ავდექი და შოტლანდიაში ტურისტად გავემგზავრე...“

რა შუაშია შოტლანდია? — შეიძლება იკითხოს მავანმა საქმეში ჩაუხედავმა. საქმე ის არის, რომ ხვალინდელი ფინალი სწორედ გლაზგოშია, ზემოხსენებულ „ჰემპდენ პარკზე“.

„შოტლანდია მშვენიერი ქვეყანაა — განაგრძობს „ესპანიოლის“ მწვრთნელი — იქ რომ ვიყავი, საჭეს მივუჯექი და მთლიანად გადავსერე და გადმოვსერე. გახლდით აბერდინში, ედინბურგში, ინვერნესში, მაგრამ, აი, გლაზგოში არ შევსულვარ. სამაგიეროდ, „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ დერბი ტელევიზიით მრავალჯერ მინახავს და ვიცი, რომ სქოთები თავიანთ ფეხბურთს განსაკუთრებით უვლიან და უფრთხილდებიან. სწორედ ამიტომ, „ჰემპდენზე“, ამ მითიურ სტადიონზე უეფას თასის მოსაპოვებლად ბრძოლა ჩემთვის დამატებითი სტიმულია. მინდა, ფინალი ჩვენი მონაწილეობით სამუდამოდ დასამახსოვრებელი დიადი მატჩი გამოვიდეს“.

ინტერვიუში, რომლიდანაც ციტატებს ახლა გთავაზობთ, ერნესტო ვალვერდემ საგანგებოდ ახსენა, რომ ეს უეფას თასის მოპოვების მეორე შანსია.

„დიახ, ეს მშვენიერი მეორე შანსია, თუმცა „ლევერკუზენთან“ 19 წლის წინანდელი წაგება არ მგონია, მე ან ჩემს გუნდს დაღად გვაჯდეს. დიახ, წავაგეთ, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვანი მატჩი იყო და საერთოდაც, უეფას თასის ფინალში გასვლა ხელწამოსაკრავი რამ სულაც არ გახლდათ“.

ცხადია, საუბარი ახლანდელ გათამაშებასაც გადასწვდა...

„ნახევარფინალში „ვერდერისა“ და მეოთხედფინალში „ბენფიკას“ გაგდება ჩვენთვის დიდი გამოცდილება გახლდათ — განაგრძო ვალვერდემ — ლისაბონში, დიდი „ბენფიკას“ წინააღმდეგ მცირე უპირატესობით, მხოლოდ და მხოლოდ 3:2-ით ჩავედით, მაგრამ ნერვები მოვთოკეთ და იმ შეხვედრაში მართლაც საუცხოოდ ვითამაშეთ. შემდეგ იყო ძალიან მნიშვნელოვანი 3:0 გამარჯვება „ვერდერთან“. სხვათა შორის, გერმანულ გუნდთან პირველი თამაშის შემდეგ 3:0 დაწინაურებამ „ესპანიოლის“ ქომაგებს სწორედ ის ძველი ამბავი გაახსენა, მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ისტორიის გამეორება აუცილებელი სრულებითაც არ არის“.

საინტერესო, აი, კიდევ ეს არის: სეზონი რომ დაიწყო „ესპანიოლმა“ ოთხი შეხვედრიდან სამი წააგო და პრესაში ერნესტო ვალვერდეს მოხსნის შესახებ ნაირგვარი წერილები და ცნობები გამოქვეყნდა. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ დღევანდელ შეთამაშებასა და ოსტატობას ბარსელონის გუნდმა გვარიანი ნერვების შლისა და ოფლის ღვრის წყალობით მიაღწია. როგორც ამბობენ, ამაში დიდი როლი ვალვერდეს მიერ თავის ოდინდელ მწვრთნელთან, მაშინდელი „ესპანიოლის“ თავკაცთან ხავიერ კლემენტესთან გატარებულ წლებს აქვს ნათამაშევი. „ჩინგირი“, ანუ მუშა ჭიანჭველა (ბასკურად ყოფილა ასე) ვალვერდე თავის ბიჭებს დაჟინებით იწვევდა სავარჯიშო მოედანზე, ამუშავებდა ახალ-ახალ ვარიანტებს და ყოველ შეხვედრაში ოპტიმალური შემადგენლობის მიგნებას ლამობდა...

„სეზონის დასაწყისში გვარიანად უსახურნი ვიყავით — ამბობს მწვრთნელი — მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მე და ფეხბურთელები ერთმანეთს არ ვიცნობდით. სასტარტო თერთმეტეული და ტაქტიკა იმდენჯერ ვატრიალე, სანამ თავადაც არ დავრწმუნდი და ფეხბურთელებიც არ დავარწმუნე, რომ საბოლოოდ მიღებული ვარიანტი ყველაზე მეტის მომცემი იყო“.

და ბოლოს მეტოქეზე, „სევილიაზე“:

„სევილიელები შეტევისას ძალიან სწრაფები არიან. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში მაღალ ტემპს ინარჩუნებენ. რასაკვირველია, ძნელი მატჩი გველის, მაგრამ ფინალი, მოგეხსენებათ, ფინალია და იქ ყველაფერია მოსალოდნელი“.

**ბაბუნა ძიძია**

# ლამპარდი ბარსას ელის



„ბარსელონა“, „ინტერი“ და „იუვენტუსი“ ფრენკ ლამპარდის ტრანსფერით დაინტერესდნენ — წერს „ელმუნდო დეპორტივო“.

ფეხბურთელის აგენტმა სტივ კანტერმა განაცხადა, რომ ინგლისის ასოციაციის თასის ფინალიდან (19 მაისს გაიმართება) ერთ კვირაში „ბარსელონასგან“ კონკრეტულ წინადადებას ელის.

ესპანური გაზეთი იმასაც ამტკიცებს, რომ „ინტერმა“ და „იუვემ“ უკვე გაგზავნეს ოფიციალური წერილი „ჩელსიში“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლოკომოტივის პრეზიდენტობა სიკვდილია!



**ბულგარული** პლოვდივის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი ალექსანდრ ტასევი გუშინ შუადღისას საკუთარ ავტომობილში ჩაცხრილეს — 45 წლის ბიზნესმენი სოფიის პრესტიჟულ უბანში შავ „მერსედესში“ მკვდარი ნახეს.

პოლიციის განცხადებით, იგი ნარკოტიკებით ვაჭრობდა და მკვლელობაც მაფიოზურ გარჩევას მოჰყვა.

„ლოკომოტივის“ წინა პრეზიდენტი გეორგი ილიევი 2005 წლის აგვისტოში შავი ზღვის პირა სასტუმროში მოკლეს, როცა უეფას თასის გათამაშებაში თავისი გუნდის „ოფკ ბელგრადზე“ გამარჯვებით ხარობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბ და კ ვიტრინაში

## ბალაკი და კანი სექსმაღაზიის თაროებიდან ბოდიშით გაქრნენ




**გერმანულ** სექსმაღაზიათა ქსელი BEATE UHSE მიხაელ ბალაკს და ოლივერ კანს, მათი სახელების უკანონოდ გამოყენებისთვის, 50-50 ათას ევროს გადაუხდის.

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე ქსელში გამოჩნდა ვიბრატორები, რომლებსაც „მიხაელ ბ.“ და „ოლივერ კ.“ ეწერა, რასაც ფეხბურთელთა პორტრეტებიც ახლდა. ეს უკვე აშკარად მათი სახელებით ვაჭრობა გამოდიოდა და შეურაცხყოფილმა ბიჭებმა სასამართლოში იჩივლეს. პროცესი მოიგეს, მაღაზიებიდან კი უმალ გაქრა „მიხაელ ბ.“ და „ოლივერ კ.“.

დამნაშავემ ბოდიშიც მოიხადა და დაზარალებულს ფულსაც გადაუხდის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ესპანეთი: ძველი მეშვიდე, ახალი პირველი

„**ბარსელონას**“ აღზრდილმა ბოიან კრკიჩმა ესპანეთს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა.

შარშან 16-წლამდელების ჩემპიონატზე კრკიჩი ბომბარდირი გახდა, წლეულს კი მხოლოდ ორი გოლი შეაგდო (პირველი ბელგიასთან ნახევარფინალში) და მეორე „ოქროსი“ გამოდგა. ბარსელონელმა დაამტკიცა, რომ ტყუილად არ თვლიან ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად.

აქამდე ესპანელებმა ექვსჯერ მოიგეს აწ უკვე გაუქმებული 16-წლამდელთა ჩემპიონატი, ახლა კი 17-წლამდელებმაც იმარჯვეს.

გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში გავიდა. ფრან მერიდამ (ასევე „ბარსელონას“ აღზრდილმა და „არსენალში“ გადასულმა) დაარტყა, მეკარე ჯეისონ სტილმა მოიგერია, მაგრამ კრკიჩმა ცარიელ კარში გაიტანა — ინგლისელები ტურნირის განმავლობაში პირველად აღმოჩნდნენ მდევრის როლში და, უამრავი მცდელობის მიუხედავად, ვერ გაათანაბრეს, კრკიჩმა კი კიდევ ერთი გაიტანა, თუმც თამაშგარის გამო მსაჯმა არ ჩაუთვალა.

ესპანელთა მწვრთნელი ხუან სანტისტებანი: „მორიგი ჩემპიონატის მოგება ძალიან სასიხარულოა, რადგან ახალი ფეხბურთელები გვყავს და ისინი მალე ჩაეწერნენ გუნდში. ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო მატჩი ტურნირზე, რადგან მოკლე დროში ბევრი შეხვედრა გავმართეთ და დავიღალეთ, მაგრამ პირველობას ვიმსახურებდით. ტექნიკის მხრივ ეს გუნდი საუკეთესოა მათ შორის, რომლებთანაც მიმუშავია“.

**ვაჟა ხუციშვილი**


AFP

# ჯორჯ ბესტს ასეთი რძალი არ მოეწონებოდა

## ბრიტანეთში სკანდალური რომანი გახურდა



**ლეგენდარული** ფეხბურთელის, აწ გარდაცვლილი ჯორჯ ბესტის ვაჟი კალუმი სკანდალში გაეხვა — მისი საცოლე, მსახიობი ლინდსი ლოხანი ჰოლივუდში „ცუდ გოგოდ“ ითვლება.

კალუმი ლინდსის უკვე დიდი ხანია, ჰყვარობს და წყვილი ერთად ხშირად უნახავთ.

უმცროსი ბესტის მეგობრები კი ამბობენ, დიდ ჯორჯს სულაც არ მოეწონებოდა ასეთი რძალიო.

ლინდსიმ ამასწინათ გახმაურებული სასამართლო პროცესი წააგო ფოტოგრაფთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ მსახიობმა მანქანით ფეხზე გადაუარა და თავისი სიმართლე დაამტკიცა კიდეც.

გარდა ამისა, ლინდსი კოკაინის ყნოსვაშიც არაერთხელ უმხილებიათ. კალუმ ბესტი კი თავისას მაინც არ იშლის...

**ბახა ზალამბერიძე**

# ალარდაისი გაყიდის და იყიდის

„**ნიუკასლის**“ ახალი მწვრთნელი სემ ალარდაისი რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვით 25 მილიონის მიღებას ვარაუდობს. „ნიუს ოფ ზე ვორლდის“ ცნობით, ტრანსფერზე დააყენებენ კირონ დაიერს, სკოტ პარკერს, ემრეს და ობაფემი მარტინსს. 25-ს კიდევ 15 მილიონს დაუმატებს კლუბი და ახალ ფეხბურთელებს შეიძენენ.

ალარდაისის სასურველ მოთამაშეთა სიაში არიან: მარკ ვიდუკა, რომელსაც „მიდლსბროსთან“ კონტრაქტი ეწურება და „ნიუკასლს“ მუქთად ერგება, აბელ შავიერი, ვინც „ბოროდან“ გაუშვეს, „სიტიდან“ გაგდებული ჯოი ბარტონი, შვეიცარიული „სიონის“ ნახევარმცველი ჟელსონ ფერნანდესი და „ბოლტონის“ ფორვარდი ნიკოლა ანელკა.

ალარდაისმა „ნიუკასლთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 13 მილიონ გირვანქას (3 მილიონ 250 ათასი წელიწადში) ჩაიჯიბავს: ასეთივე ჯამაგირი აქვთ რაფაელ ბენიტესს და არსენ ვენგერს. მათზე მეტს მხოლოდ მაურინიუ და ფერგიუსონი იღებენ.

# პუტინის პასი: ორდენი სიომინს

**რუსეთის** პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მოსკოვის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი იური სიომინი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. კრემლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ბრძანებაში წერია, რომ ფიზიკური კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და მრავალწლიანი კეთილსინდისიერი შრომისთვის სიომინმა ჯილდო დაიმსახურა.

მისი თავკაცობით „ლოკომოტივი“ ორჯერ (2002, 2004) გახდა რუსეთის ჩემპიონი და ოთხჯერ (1996, 1997, 2004, 2001) თასი მოიგო. 1989 და 1998 წლებში კი თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალსაც უწია. 2006 წლის 26 დეკემბრიდან „ლოკომოტივის“ პრეზიდენტია.

# მარადონა გადაიდო

**დიეგო მარადონამ** აზიური ტური გადადო — ამის შესახებ არგენტინის საელჩომ ოფიციალურად განაცხადა.

მარადონა ინდონეზიას, ვიეტნამს, სინგაპურსა და ტაილანდს უნდა სწვეოდა მომავალ კვირაში, მაგრამ ტური ივნისის ბოლომდე შედგება.

„მას მკურნალობის კურსი ჯერ არ დაუმთავრებია“ — თქვა საელჩოს წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ მარადონა ფსიქიატრიული კლინიკიდან 6 მაისს გამოწერეს.

# მზვერავები ამსტერდამში

**ესპანური** „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, „ბარსელონას“ სკაუტები წინა კვირას ჰოლანდიაში იყვნენ და „აიაქსი“ — „ჰერენვენის“ საპლეიოფო მატჩს დაესწრნენ, რომელიც მასპინძლებმა 4:0 მოიგეს. ბარსელონელები აიაქსელ კლაას-იან ჰუნტელაარს და ჰერენვენელ ალფონსო ალვეშს აკვირდებოდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ბრაზილია

სერია A. I ტური

ამერიკა 0:1 ვასკუ და გამა
კორინთიანსი 1:0 ჟუვენტუდი
სპორტ რესიფე 4:1 სანტოსი

### მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი
1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

ამერიკა 4:1 ატლასი (3:3)
პაჩუკა 1:1 სანტოსი (1:1)

### არგენტინა

კლაუსურა. XIV ტური

ბოკა ხუნიორსი 1:1 არსენალი

### ჩილე

პრიმერადივიზიონი. XVII ტური

კობრესალი 2:1 ლა სერენა
პუერტო მონტი 0:1 უნივ. კათოლიკა
ლოტა 1:2 უნივ. დე ჩილე
ანტოფაგასტა 3:1 ატლეტიკო
ევერტონი 1:1 კობრელოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 488 | დერბი-საუთჰემპტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 489 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვზი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 3 | ლინკოლნი-როვერსი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 490 | ექსეტერი-მორეკამბი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 17:30 | 52 | ალტახი-მატერსბურგი | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 17:30 | 53 | რაპიდი-პაშინგი | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 17:30 | 54 | რიდი-აუსტრია | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 17:30 | 56 | ტიროლი-ზალცბურგი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | ავსტრია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 62 | ადმირა-შვანენშტადტი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 21:00 | 63 | აუსტრია(მ)-ჰარტბერგი | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 21:00 | 64 | გრატკორნი-კერნტენი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 21:00 | 65 | ლინცერი-აუსტრია(ლ) | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 21:00 | 66 | ლეობენი-პარნდორფი | 1.65 | 3.50 | 4.40 | 1.12 | 1.20 | 1.94 |
| 21:00 | 67 | ლუსტენაუ-კაფენბერგი | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 21:45 | 73 | აარაუ-გრასჰოპერი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 21:45 | 74 | ბაზელი-სიონი | 1.55 | 3.80 | 5.30 | 1.10 | 1.19 | 2.21 |
| 21:45 | 75 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.50 | 3.90 | 6.00 | 1.08 | 1.20 | 2.36 |
| 21:45 | 76 | თუნი-იანგ ბოიზი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 21:45 | 77 | ციურიხი-ლუცერნი | 1.27 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.11 | 3.13 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 408 | ბრეშა-ნაპოლი | 2.55 | 2.60 | 2.85 | 1.28 | 1.34 | 1.35 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 242 | პეტრჟალკა-კოშიცე | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 21:30 | 243 | სინეცი-ჟილინა | 6.00 | 3.40 | 1.50 | 2.17 | 1.20 | 1.04 |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 21:30 | 244 | ბ.ბისტრიცა-რუჟომბეროკი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 21:30 | 245 | ნიტრა-სლოვანი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | ნორვეგია. ტიპლიგა | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 270 | ბრანი-ფრედრიკსტადი | 1.45 | 3.90 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 20:00 | 271 | რუსენბორგი-სტარტი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 20:00 | 272 | სტაბეკი-ოდ გრენლანდი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 20:00 | 273 | სტრომსგოდსეტი-ალესუნდი | 1.70 | 3.40 | 4.45 | 1.13 | 1.23 | 1.92 |
| 20:00 | 274 | ტრომსიო-ლილესტრომი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 20:00 | 275 | ვოლერენგა-სანდეფიორდი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 20:00 | 276 | ვიკინგი-ლინი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 288 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 356 | ესპანიოლი-სევილია | 3.85 | 3.20 | 1.95 | 1.74 | 1.29 | 1.21 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 358 | ინტერი-რომა | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| | | დანია. თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.60 | 3.50 | 5.15 | 1.09 | 1.22 | 2.08 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10288 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 2.90 | 2.00 | 3.10 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10356 | ესპანიოლი-სევილია | 4.20 | 2.10 | 2.30 | 1.39 | 1.48 | 1.09 |
| 10357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 3.10 | 1.90 | 3.10 | 1.17 | 1.54 | 1.17 |
| 10408 | ბრეშა-ნაპოლი | 2.90 | 1.80 | 3.30 | 1.11 | 1.54 | 1.16 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11288 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11356 | ესპანიოლი-სევილია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11408 | ბრეშა-ნაპოლი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12288 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 1.70 | 1.90 |
| 12356 | ესპანიოლი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.60 | 2.00 |
| 12408 | ბრეშა-ნაპოლი | 1.55 | 2.10 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13288 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 1.70 | 1.90 |
| 13356 | ესპანიოლი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13408 | ბრეშა-ნაპოლი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14288 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 14356 | ესპანიოლი-სევილია | 2.20 | 1.70 |
| 14357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.90 | 1.90 |
| 14408 | ბრეშა-ნაპოლი | 1.90 | 1.90 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15288 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15356 | ესპანიოლი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15408 | ბრეშა-ნაპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16288 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 1.80 | 1.85 |
| 16356 | ესპანიოლი-სევილია | 2.45 | 1.40 |
| 16357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.82 | 1.82 |
| 16408 | ბრეშა-ნაპოლი | 1.80 | 1.85 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17288 | ჰელსინგბორგი-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17356 | ესპანიოლი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17408 | ბრეშა-ნაპოლი | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

კრივი

# მეივეზერი-ტრინიდადი-დე ლა ჰოია

## საკრივო სამკუთხედის ცენტრში დონ კინგი ჩადგა

ორიოდ კვირის წინ ოსკარ დე ლა ჰოიას მსაჯების არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებით დამარცხების შემდეგ ფლოიდ მეივეზერუმცროსმა რინგიდან წასვლის შესახებ განაცხადა, მაგრამ ვითომ ბევრმა დაუჯერა? საეჭვოა.

საეჭვოა, რადგან აქამდე დაუმარცხებელი, თან ლამის კარიერის პიკზე მყოფი მოკრივის რინგიდან სამუდამოდ წასვლას არავინ დაუშვებს — ის ძალიან მსუყე ლუკმაა ნებისმიერი პრომოუტერისთვის, საკრივო ორგანიზაციისა თუ ფედერაციისთვის, ან ტელევიზიებისთვის, რომ ასე იოლად გააცილონ. ისე, ამ გადაწყვეტილებით, თავად მეივეზერიც თავს უფრო იფასებდა, თორემ მიხნაირები მობრუნებულან რინგზე? თუნდაც ევანდერ ჰოლიფილდი აიღეთ, მესამედ დაბრუნდა და ახლა რინგიდან ველარ აგდებენ.

მოკლედ, მეივეზერმა ერთ კვირაში უკვე შეიცვალა გადაწყვეტილება და რინგზე დაბრუნება მოინდომა. ოღონდ გასაკვირი ისაა, რომ საუბარი დე ლა ჰოიასთან მატჩ-რევანშის გამართვაზე კი არა, სულ სხვა ბრძოლაზეა — მეივეზერმა კრივიდან წასულ კიდევ ერთ მუშტის მქნეველთან, სამ წონაში ექსჩემპიონ ფელიქს ტრინიდადთან მოინდომა შეჭიდება.

მეივეზერი უკვე ბაქიაობს:

„ჩემთვის ეს ადვილი ბრძოლა იქნება. ტრინიდადს მაიორგამ ბევრი ურტყა, მაიორგას კი კორი სფინქსმა მოუგო. შემდეგ ზაბ ჯუდამ სფინქსი დაანოკაუტა, მე კი ჯუდას ძალიან ადვილად გავუმკლავდი. ასე რომ, ჩემს წინააღმდეგ ტრინიდადს შანსი არ ექნებოდა".

ტრინიდადზე კი დიდი მოთხოვნაა და მეივეზერის იდეას ფელიქსთან ჩხუბის თაობაზე სერიოზული საფრთხე ემუქრება პროფესიული კრივის ყველაზე გაქნილი და გაიძვერა პრომოუტერ დონ კინგის სახით, რომელსაც უნდა, რომ ტრინიდადი დე ლა ჰოიას დაატაკოს.

„ტრინიდადი — დე ლა ჰოია უფრო დიდ ინტერესს გამოიწვევს, რადგან აქ თანაბარი ბრძოლა მაინც შედგება. თან ეს დიდი მატჩრევანში იქნება" — ხალხის დაჯერებას ცდილობს კინგი.

„მგონია, რომ დე ლა ჰოია — მეივეზერის ბრძოლის გამართვა მაგარი სისულელე იყო. იქ ხომ ოსკარს სერიოზული შანსი არ ჰქონდა — თავიდან უნდა დაენოკაუტებინა მეივეზერი, თორემ მერე რომ




დონ კინგმა ახალი გრანდიოზული შოუ ჩაიფიქრა

ვერაფერს იზამდა, ძნელი წარმოსადგენი არ იყო. ეს ბრძოლა მხოლოდ ფულის საშოვნელად გაიმართა" — უბრალოდ, სასაცილოა, როცა ამას ფულზე თავად დახარბებული კინგი ამბობს.

ასეა თუ ისე, კინგი ტრინიდად — დე ლა ჰოიას ბრძოლისგან ნამდვილი შოუს მოწყობას გეგმავს და მისი გამართვის სავარაუდო ადგილად მეხიკოს ლეგენდარულ სტადიონ „აცტეკას" ასახელებს. ისე, დიდ დონს ამდაგვარი გამოცდილება უკვე აქვს — თავის დროზე კინგი სწორედ „აცტეკაზე" გამართულ ხულიო სეზარ ჩავესისა და გრეგ ჰაუგენის ჯახს პრომოუტერობდა, რომელსაც კრივისთვის რეკორდული, 136 000 მაყურებელი დაესწრო.

**კახა ლომჯარიძე**



კოტე ტულუშმა და ირაკლი ხოშტარიამ შარშან ჩემპიონობა ერთად იზეიმეს; წლეულს ისინი ბარიკადების სხვადასხვა მხარეს არიან



მურაზ [illegible] ფოტოები

## საქართველოს ჩემპიონატი
## სუპერფინალი. სამ მოგებამდე

### აზოტი (რუსთავი) VS ავიამშენი (თბილისი)

# მესამე და სამართალი

## ოთხი ფინალის წაგება
## რუსთავი ჩემპიონობაზე დაიგეშა

**დღეს** სუპერლიგის მთავარი საპლეიოფო ჯახი იწყება: მოქმედი ჩემპიონი „ავიამშენი“ რუსთავის „აზოტის“ წინააღმდეგ. ოქრო იმას ერგება, რომელიც სერიაში სამ გამარჯვებას მოიპოვებს.

ესა შარშანდელი ფინალის გამეორებაა: 2006 წლის მაისში „ავიამშენმა“ მოედნის უპირატესობის წყალობით 3:2 დაამარცხა „აზოტი“ და პირველად გახდა ჩემპიონი. იმის წინაც ფინალში იყვნენ ლევან მოსეშვილის შეგირდები, მაგრამ მაშინ „ავიატორებს“ ჩემპიონობა ტექნიკური უნივერსიტეტის „ჯეოსელმა“ არ დაანება.

წაგებულ ფინალებზე თუ მიდგება საქმე, ამაში სწორედ რუსთაველებს არ ჰყავთ ბადალი. „აზოტმა“ შარშან მეოთხე საჩემპიონო სერია წააგო, 90-იანი წლების ბოლოს კი ამ გუნდს სამჯერ ჰქონდა პირველობის შანსი, მაგრამ ჯერ „ვითას“, მერე კი ორჯერ ბათუმის „ბასკოს“ ორჯერ ვერ აჯობა.

რუსთაველებს ჩემპიონობა ლამის უკვე ესიზმრებათ, ისე სურთ მისი მოგება. ამ ქალაქში კალათბურთი განსაკუთრებით უყვართ და ახლაც რომ ვერ მოიგონ, ამაზე დიდი ტრაგედია რა უნდა იყოს ქვემოქართლელებისთვის... თანაც ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა ტრიუმფისთვის — „აზოტს“ არც შემადგენლობა აკლია, არც მწვრთნელების კომპეტენცია და მოედნის უპირატესობაც მისია.

ვინ იცის, სწორედ ეს გახდეს მთავარი საჩემპიონო ფაქტორი: „აზოტი“ სამივე საშინაო მატჩს მოიგებს და... მიზანი მიღწეულია. ქვემოქართლელებმა შარშან, როცა ამაზე გაცილებით სუსტი შემადგენლობა ჰყავდათ, ფინალში 0:2 ჩამორჩენის შემდეგ 2 მატჩი ისე მოუგეს რუსთავში „ავიამშენს“, როგორც დაგიბარებიათ და ახლა ბევრად გამოცდილი და ძლიერი გუნდით შინაურ კედლებში უპირობო ფავორიტები არიან.

ესეც რომ არა, „აზოტი“ წლეულს გაცილებით კარგად თამაშობს რეგულარულ ჩემპიონატში რუსთაველებმა მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს, ერთხელაც თასის ფინალში წაიფორხილეს, მაგრამ მათთვის დამაფიქრებელი სწორედ ისაა, რომ ორჯერვე ეს იაღლიში „ავიამშენთან“ მოუვიდათ.

ეს გუნდები ამ სეზონში 7-ჯერ შეხვდნენ და რუსთაველები მნიშვნელოვნად ლიდერობენ — 5:2. საერთოდ, ეს ამ სეზონის მესამე ფინალია „აზოტისა“ და „ავიამშენის“ მონაწილეობით. დუდუ დადიანის მემორიალზე ქვემოქართლელებმა იმარჯვეს, თასზე, როგორც ვთქვით, „ავიატორებმა“ იყოჩაღეს და რა იქნება მესამე და უმთავრესი ფინალში, 18, 19 ან 21 მაისს გავიგებთ — გააჩნია, სერია რამდენ მატჩამდე გაგრძელდება.

საფინალოდ „ავიამშენს“ უბრუნდება გუნდის კაპიტანი და ლიდერი ირაკლი ხოშტარია, რომელსაც ნახევარფინალური სერიის დაწყებამდე მამა გარდაეცვალა და თავისიანებს ვერ დაეხმარა. მიუხედავად მისი არყოფნისა, „ავიატორებმა“ დიდებულად ჩაითამაშეს სერია, თსუ მშრალი ანგარიშით, 3:0 დაამარცხეს და ვისაც „აზოტი“ წინასწარ გამოცხადებული ჩემპიონი ეგონა, სერიოზულად ჩააფიქრეს.

„ავიამშენის“ ეს ნახევარფინალური ათამაშება იმის იმედს იძლევა, რომ ფინალი ისეთი ცალკალათა არ იქნება, როგორსაც ბევრი მცოდნე ქომაში ელის. ლევან მოსეშვილი ამბობს, თუ საქმე მეხუთე, გადამწყვეტ მატჩამდე მივიყვანეთ, მერე რა, რომ რუსთავში ვითამაშებთ, იქ ყველაფერია მოსალოდნელიო. ვნახოთ...

**ირაკლი პერტაია**

### ფინალური სერია

| | |
|---|---|
| 15 მაისი. რუსთავი<br>**აზოტი — ავიამშენი 17.00** | 16 მაისი. რუსთავი<br>**აზოტი — ავიამშენი 17.00** |
| 18 მაისი. ვერის ბაღი<br>**ავიამშენი — აზოტი 16.00** | |
| 19 მაისი. ვერის ბაღი<br>**ავიამშენი — აზოტი 16.00**<br>(თუ საჭირო გახდა) | 21 მაისი. რუსთავი<br>**აზოტი — ავიამშენი 17.00**<br>(თუ საჭირო გახდა) |

### მესამე ადგილისთვის (2 მოგებამდე)

| | |
|---|---|
| 15 მაისი. ვერის ბაღი<br>**თსუ — დინამო 13.00** | 16 მაისი. ვერის ბაღი<br>**თსუ — დინამო 13.00** |
| 18 მაისი. ვერის ბაღი<br>**დინამო — თსუ 13.00** (თუ საჭირო გახდა) | |

## ქართული ლეგიონი

# ჰერბერტის ფრანგულმა თასი გაჭრა

## ზოგი პლეი ოფშია, ზოგი სახლში

გასული კვირა გორდონ ჰერბერტისთვის ტრიუმფისაც იყო და იმედგაცრუებისაც, თუმც ალბათ უფრო დადებითი ემოციები სჭარბობდა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა თავის „პო ორტეზს“ საფრანგეთის თასი მოაგებინა და იმას, რომ ჩემპიონატის პლეი ოფში ვერ გავიდა, დანაშაულად არავინ ჩაუთვლის. თანაც რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ პოელები თითქმის უშანსოდ იყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ გაიმარჯვეს, საუკეთესო რვეულში ვერ მოხვდნენ.

მთავარი ბრძოლა ჰერბერტის გუნდმა თასის ფინალში გადაიტანა, სადაც მეორე დივიზიონელ „ნანტერისგან“ გვარიან წინააღმდეგობას კი წააწყდა, მაგრამ საბოლოოდ ტიტული მაინც მოიგო.

პლეი ოფის მიღმა დარჩა ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონიც“, რომელმაც „ლე მანთან“ წაგებით საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი. დიჟონელები შინ თამაშობდნენ და რომ ემარჯვათ, პლეი ოფში გადიოდნენ, მაგრამ... 66:77 დამარცხდნენ.

ასე და ამგვარად, ჰერბერტისა და ნაცვლიშვილის გუნდებმა საფრანგეთის ჩემპიონატში გამოსვლა ერთად, ცხრილში გვერდიგვერდ დაასრულეს „პო ორტეზი“ მეცხრეზე, „დიჟონი“ კი მეათე ადგილზე გავიდა.

პლეი ოფის დრო დადგა იტალიაშიც. გასულ კვირას სერია A-ში ბოლო ორი ტური ჩაითამაშეს და ჩვენი ნაკრების წევრთა გუნდებმა ყველა შეხვედრაში იმარჯვეს. რეგულარული ჩემპიონატის მომგებმა ვლადიმერ ბოისას „სიენამ“ „სკაფატი“ და „კლიმამიო“ იმსხვერპლა, ხოლო ტაირონ ელისის „ნაპოლიმ“ „კანტუსა“ და „ბენეტონს“ გამოუტანა განაჩენი.

ბოისას ცოტა არ უთამაშია, თუმც ისეთი ბარაქიანი არ ყოფილა, როგორც ტაირონ ელისი. ქართულპასპორტიანმა ამერიკელმა ორი მატჩის ჯამში 29 ქულა მოქაფა და „ნაპოლიმაც“ საპატიო, მე-5 ადგილზე დაასრულა რეგულარული ჩემპიონატი.

მეოთხედფინალები სამ გამარჯვებამდეა და იქ „სიენას“ მეტოქე მერვეადგილოსანი „ტრიესტინა“ იქნება, ხოლო „ნაპოლის“ შედარებით მძლავრი მოწინააღმდეგე ჰყავს — დეიან ბოდიროგას „რომა“.

გიორგი ცინცაძე და მისი „როკი“ ხვალ იწყებენ ესტონური ოქროსთვის ბრძოლას, ხოლო ლიტვური ბრინჯაოს მოგების შანსი ხელიდან გაუფრინდა სერგო ათუაშვილის „ნეპტუნასს“, რომელმაც „შაულიაისთან“ მშრალი ანგარიშით წააგო სერია.

**ირაკლი პერტაია**



გორდონ ჰერბერტის „პო ორტეზმა“ საფრანგეთის თასი მოიპოვა

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპიონატი | ლე მანი | შ | 66:77 | 15 | 2 | 3 | 0 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | სერია A | კანტუ<br>ბენეტონი | ს<br>შ | 82:76<br>95:55 | 33<br>34 | 11<br>18 | 3<br>4 | 1<br>4 |
| სერგო ათუაშვილი | ნეპტუნასი | ლიტვის უმ. ჩემპიონატი | შაულიაი<br>შაულიაი | შ<br>ს | 84:86<br>89:99 | 4<br>არ უთამაშია | 0 | 1 | 0 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | სკაფატი<br>კლიმამიო | ს<br>შ | 103:84<br>106:87 | 17<br>23 | 7<br>3 | 5<br>2 | 0<br>0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

PLAYOFFS 2007

# ბიგ ბენმაც დარეკა

## აღმოსავლეთი

19 მაისი

### დეტროიტი 3:1 ჩიკაგო

**ჩიკაგო 102:97 დეტროიტი**

**ჩიკაგო:** დენგი (25 ქულა, 13 მოხსნა), ჰაინრიხი (19 ქულა, 10 პასი), გორდონი (19), ვოლესი (11 ქულა, 17 მოხსნა), ტომასი (10)
**დეტროიტი:** ბილაფსი (23), პრინსი (18), ვოლესი (14), ჰამილტონი (11), მიურეი (10)

„ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვის ვეთამაშები. ჩვენ გამოვედით მოედანზე და დავამტკიცეთ, რომ პლეი ოფიდან 0:4 შედეგით გასავარდნი გუნდი არ ვართ" — ნიშნის მოგებით ამბობდა ნამატჩევს „ჩიკაგოს" ცენტრი ბენ ვოლესი. აქამდე კი ისე გამოდიოდა, რომ მას უგებდნენ ნიშნს, რაკი მისი ახალი გუნდი გამუდმებით აგებდა ძველთან — „დეტროიტთან", რომელშიც „ბიგ ბენი" 2000-06 წლებში თამაშობდა. ამასწინათ „ჩიკაგომ" „დეტროიტს" ის თამაშიც კი დაუთმო, რომლის პირველ ტაიმში 19 ქულასაც იგებდა, თანაც შინ.

ახლა კი ბენ ვოლესმა საუკეთესოდ ითამაშა, 11 ქულა და 17 მოხსნა გააკეთა და ყველას ანახა, ვინაა ფარქვეშეთის ბატონ-პატრონი. მარტო ვოლესი ვერას გახდებოდა, ტანად მომცრო თანაგუნდელებს, ჰაინრიხ-გორდონის დუეტს და პირველ რიგში ლუოლ დენგს რომ არ გაეტეხათ დეტროიტული ციხის კლიტე. ისინი თავიდანვე იმ განწყობით გავიდნენ მოედანზე, რაც ვოლესმა ნამატჩევს გაახმაურა, გადამწყვეტი უპირატესობა კი მესამე მეოთხედის 27:13 მოგების და 21 ქულით დაწინაურების შემდეგ მოიპოვეს.

„ჩიკაგოს" შეიძლება არ ჰქონდეს ამ სერიის გადარჩენის პრეტენზია, ნბა-ს ისტორიაში დღემდე ვერავის მოუხერხებია 0:3 ჩამორჩენის 4:3-ად ქცევა, მაგრამ, „ბიგ ბენის" თქმისა არ იყოს, ეს გუნდი 0:4 განადგურებას მართლა არ იმსახურებდა და „ხარებს" ეს მოგებაც საქმეში ჩაეთვლებათ.



## დასავლეთი

### იუტა 3:1 გოლდენ სტეიტი

**გოლდენ სტეიტი 101:115 იუტა**

**გოლდენ სტეიტი:** ჯეკსონი (24), ჰარინგტონი (24), დევისი (15), ელისი (15)
**იუტა:** ბუზერი (34 ქულა, 12 მოხსნა), ფიშერი (21), უილიამსი (20 ქულა, 13 პასი), ოქური (14), კირილენკო (12)

# მეომრებს თოფები დაუცვივდათ



კარლოს ბუზერმა „იუტა" ნახევარფინალისკენ გააქანა

**იუტელმა** „ჯაზმენებმა" ოკლენდში საკუთარ დარბაზში პირველი მარცხი აგემეს იქაურ „მეომრებს" და კედელთან მიაყუდეს. თვით „დალასის" მძლეველ „გოლდენ სტეიტს" ახლა წაგების უფლება აღარ აქვს, ყველა თამაში უნდა მოუგოს „იუტას", მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელ საქმედ უჩანს, თუ კარლოს ბუზერს არ მუხერხებს რამეს. ბედის ირონიით — გოლდენსტეიტელებმა ხელი არ გაანძრევინეს „დალასის" ლიდერს, სეზონის უძვირფასეს მოთამაშე დირკ ნოვიცკის, მაგრამ ნოვიცკისავე ამპლუის და ნაკლები გაქანების ბუზერთან უმწეო ბავშვებივით გამოიყურებიან. მოზვერა იუტელი „მეომრებს" ამ ოთხ თამაშში საშუალოდ 25 ქულას უგდებს და 14 ბურთს უხსნის.

იუტელებმა ყველაზე მეტად მაინც დაცვაში იყოჩაღეს — „მეომართა" ლიდერი ბაირონ დევისი 15 ქულას დააჯერეს.

„გოლდენ სტეიტი" ლიდერის ქულა-პასების გარეშე ასე თუ ისე იბრძოდა და ბოლო მეოთხედამდეც 3-ქულიანი წინყოფნით მივიდა, მაგრამ იქ უკვე „იუტას" გამთამაშებელმა, სწორედ დევისის ოპონენტმა დერონ უილიამსმა იყოჩაღა, თავისი 20 ქულიდან 14 დასკვნით პერიოდში მოინაგრა და სტუმრებს ეს 12-წუთეული 40:23 მოაგებინა.

სერიის მეხუთე თამაშს „იუტა" მასპინძლობს და მოგების შემთხვევაში დასავლეთის ფინალშიც გავა. ნამდვილად გადასარევი შედეგი იქნება გუნდისთვის, რომელსაც 2000 წლის შემდეგ საპლეიოფო სერია არ მოუგია. პლეი ოფში ბოლოს სულაც 2003 წელს იყო.

**კოტე ყორშია**

ძიუდო

# ბრაზილიამდე საქართველოში დაცხება

## შოთა ხაბარელის გუნდი გაზაფხულს რუმინეთში შეაჯამებს



**საქართველოს** ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა უკვე დაასახელა ის ძიუდოისტები, მომავალ უქმეებზე რუმინულ მსოფლიოს თასზე რომ აჭიდავებს. 19-20 მაისს ტატამები ბუქარესტში გაიშლება და პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულების დარიცხვაც ჩვეულებრივ გაგრძელდება, თუმცა ამ, რიგით მეოთხე სალიცენზიო ტურნირით ოლიმპიური ციებ-ცხელება დროებით, შემოდგომამდე შეწყდება და მხოლოდ სასექტემბრო მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ განახლდება.

საბუქარესტო ქართული გუნდი თერთმეტკაციანია. ევროპის ჩემპიონატმოვლილი შვიდეულიდან განაცხადში დავით ქევხიშვილი (73 კგ), ლევან ჟორჟოლიანი (100 კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (+100 კგ) ვერ მოხვდნენ. პირველი წინასწარ განაცხადში კი იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ტრავმის გამო გამოაკლდა ნაკრებს, მეორე-მესამეს კი მწვრთნელი შეგნებულად აძლევს დასვენების ნებას, გადატვირთული საგაზაფხულო გრაფიკის ბოლოს.

ხაბარელის გუნდის დანარჩენ წევრებს ბუქარესტში სალიცენზიო დატვირთვასთან ერთად შემართება ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმაც უნდა გაუზარდოს — სექტემბერში რიო დე ჟანეიროში წამსვლელი შემადგენლობა რომ ამ წვრილ-წვრილი ტურნირებით და შიდა კონკურენციით უნდა დაკომპლექტდეს, ნაკრების თავკაცმა ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებისთანავე განაცხადა. ამრიგად, შიდა ფრონტზე გვარიანად დაცხება, თუმც აქაც შეიძლება წინასწარ დავასახელოთ რამდენიმე წონა, რომლებშიც ლიდერები უკვე გამოიკვეთა.

ნესტორ ხერგიანს (60 კგ), ზაზა კედელაშვილსა (66 კგ) და დავით ქევხიშვილს (73 კგ) მსოფლიოს ტატამზე გასვლა თითქმის გარანტირებული აქვთ. დაახლოებით იგივეს თქმა შეიძლება მძიმეწონოსან ლაშა გუჯეჯიანზეც, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე +100 კილოგრამ წონით კატეგორიასთან ერთად აბსოლუტურ წონაშიც გათამაშდება მედლები და ხაბარელი თან ორ მძიმეწონოსანს იახლებს.

დანარჩენ წონებში კი ალბათ ბევრი რამ რუმინეთის მსოფლიოს თასისა და ზაფხულში გერმანიაში ჩასატარებელი საერთაშორისო ტურნირის შედეგებით გაირკვევა.

აქვე ის თერთმეტეულიც, ბუქარესტში რომ მიემგზავრება: ნესტორ ხერგიანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი (ორივე 60 კგ), ზაზა კედელაშვილი (66 კგ), გიორგი ბაინდურაშვილი, საბა გავაშელიშვილი (81 კგ), ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური (90 კგ), ლევან რაზმაძე, ნოდარ მეტრეველი (100 კგ), ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ).

**ოთარ მაღლაკელიძე**

სუმო



# კოკაის მეორე ოძეკიც ემძიმა

**ტოკიოს** კოკუგიკანის დარბაზში მიმდინარე მაისის ბაშოზე მეორე ტურიც ისე ჩამთავრდა, უმაღლეს იერარქიულ საფეხურებზე მდგომ სეკიტორებს წაგების გემო არ უწვნევიათ. გუშინ ქართველი კოკაი სწორედ ამ დიდკაცთა ერთ-ერთ კაშკაშა წევრს, ოძეკი ხაკუხოს დაეჭიდა.

გაიოკოძუნებისთვის მებრძოლი 22 წლის მონღოლი ლევან ცაგურიას სასტარტო შეჯახებისთანავე მარცხენათი სწვდა ქამარში და უვატენაგედ წოდებული გდებით იმარჯვა. შეგახსენებთ, ჩვენებურმა პირველ ტურშიც ოძეკისთან დათმო ბრძოლა.

ორქულიანი მინუსბალანსის მინიმუმამდე დაყვანას „შავი ზღვა", წინა ორი მეტოქისგან განსხვავებით, დაბალრეიტინგიან ხომასიოსთან შეეცდება. ქართველი ექსკომუსუბის დღევანდელი მეტოქე აღმოსავლეთელი რიგითი მაეგაშირების პირველკაცია.

გუშინდელი ბრძოლებიდან გამოსარჩევი მაკუტის უმაღლესი და უდაბლესი სეკიტორების რკენჭ იყო. „ბალკანელ გულივერად" მონათლულმა ორმეტრიანმა ბულგარელმა ოძეკი კოტოოსიუმ გაჭირვებით მოუგო ტოინოსიმას, რომელიც წელამდე ძლივს სწვდებოდა. ორმხრივი ილეთის შემდეგ დიდი და პატარა დევკაცები ერთად გადაეშვნენ დოჰიოდან. მსაჯის გადაწყვეტილებით, იატაკს პირველი ტოინოსიმა შეეხო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ნადალის სადარი თიხაზე სად არის!



**რაფაელ ნადალის** თიხნარზე დამმარცხებელი თვალსაწიერ მომავალში ნაღდად არავინ ჩანს — ის ამ საფარზე თამაშისას, უბრალოდ შეუმუსვრელია. მალიორკელმა თავისი უმაღლესი კლასი და მზადყოფნის დონე რომის მასტერსის ფინალშიც დაამტკიცა, როცა ფერნანდო გონსალესს სასტიკად გადაურბინა და წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში მარცხისთვის მშვენიერი რევანში აიღო.

რაფა პირველ ჩოგბურთელად იქცა, ვინც რომში ზედიზედ სამჯერ მოახერხა გამარჯვება: იტალიის დედაქალაქში აქამდე სამჯერ კიდევ ორს — ტომას მუსტერსა და იაროსლავ დრობნის (50-იანი წლების ჩეხი ჩოგბურთელი) უმარჯვიათ, მაგრამ არა ზედიზედ.

ნადალმა თიხნარზე თავისი გამარჯვებების სერია 77-მდე აიყვანა, ფინალში გასვლით კი ერთ საფარზე ზედიზედ მოგებული მატჩების რეკორდი დაამხო, რომელიც ჯონ მაკინროის ეკუთვნოდა.

„ეს ბიჭი უბრალოდ ბრწყინვალეა ამ საფარზე. შეიძლება ითქვას, რომ ის ამ ეპოქის ბიორნ ბორგია" — აღფრთოვანებულია ნადალით მაკინროი.

ესპანელმა თავისი მეცხრე მასტერსი მოიგო. რაფა თიხნარზე ფინალებში ჯერაც დაუმარცხებელია —16-დან 16-ში იმარჯვა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე ზედიზედ მოგებული 13 საგრუნტო ტიტულია. „მე მგონი, კარიერის საუკეთესო მომენტი მიდგას — ასე კარგად და სრულყოფილად აქამდე არასდროს მითამაშია" — განაცხადა ნამატჩევს ნადალმა.

**ბახა ლომჯავილი**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**საქართველოს** საუკეთესო კაცი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე კვლავაც უქმობს და რეიტინგში დაბლა და დაბლა ეშვება. გუშინ გამოქვეყნებულ ATP-ის კლასიფიკაციაში ირაკლიმ კიდევ რვა პოზიცია დაკარგა და ამ წუთისთვის ზუსტად მეორასეა.

საქართველოს სადევისთასო ნაკრების მეორე წევრმა ლადო ჩიხლაძემ ორი პოზიცია მოიგო, ხოლო კაცთა რეიტინგში მოხსენიებული კიდევ ერთი ჩვენებური ნოდარ ითონიშვილი სადაც იყო, იმავე ადგილზე დარჩა.

რაც შეეხება ქალთა რეიტინგს, იქ 11 ჩვენებურია. ამათგან აღსანიშნავია ანა ტატიშვილის, ოქსანა კალაშნიკოვასა და სოფო ქვაცაბაიასს პროგრესი ანმ კიდევ 14 საფეხურით წაიწია წინ და მესამე ასეულს მიუახლოვდა; ოქსანამ, სულაც 150 პოზიცია მოიგო და უკვე 767-ეა, ხოლო ქვაცაბაიამ 94 პუნქტით გაიუმჯობესა მდგომარეობა.

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 200 (-8) | ირაკლი ლაბაძე | 202 |
| 466 (+2) | ლადო ჩიხლაძე | 60 |
| 1330 (0) | ნოდარ ითონიშვილი | 2 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 150 (+2) | მაკა ჩახნაშვილი | 206,0 |
| 318 (+14) | ანა ტატიშვილი | 68,75 |
| 538 (-11) | სალომე დევიძე | 27,25 |
| 560 (-17) | სოფო მელიქიშვილი | 25,0 |
| 706 (-12) | სოფო შაფათავა | 15,0 |
| 767 (+150) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 780 (-11) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 837 (-23) | მანანა შაფაქიძე | 10?0 |
| 1071 (-5) | თეონა ცერცვაძე | 5,25 |
| 1089 (+94) | სოფო ქვაცაბაია | 5,0 |
| 1308 (-2) | მარიამ ქურდაძე | 2,75 |

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7015 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4875 |
| 3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2955 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 2930 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2760 |
| 6. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 2735 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2595 |
| 8. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2220 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2180 |
| 10. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2120 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2100 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1990 |
| 13. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1795 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1725 |
| 15. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1685 |
| 16. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1650 |
| 17. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1415 |
| 18. მარკოს ბალდატისი (კვიპროსი) | 1375 |
| 19. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1355 |
| 20. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1267 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 465 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 361 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 352 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 241 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 225 |
| 6. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 213 |
| 7. ტომი ჰაასი (გერმანია) | 210 |
| 8. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 196 |
| 9. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 188 |
| 10. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 185 |
| 11. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 183 |
| 12. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 175 |
| 13. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 173 |
| 14. გილერმო კანასი (არგენტინა) | 172 |
| 15. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 145 |
| 16. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 136 |
| 17. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 128 |
| 18. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 126 |
| 19. მარკოს ბალდატისი (კვიპროსი) | 123 |
| 20. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 113 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4119 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3388 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2867 |
| 4. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2701 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2372 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2279 |
| 7. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1957 |
| 8. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1906 |
| 9. დინარა საფინა (რუსეთი) | 1898 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1822 |
| 11. სერენა უილიამსი (აშშ) | 1770 |
| 12. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1713 |
| 13. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1600 |
| 14. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1589 |
| 15. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1448 |
| 16. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1390 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1372 |
| 18. ნა ლი (ჩინეთი) | 1281 |
| 19. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1253 |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1007 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1665 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1531 |
| 3. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 1520 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1361 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1246 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1096 |
| 7. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1030 |
| 8-9. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 961 |
| 8-9. დინარა საფინა (რუსეთი) | 961 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 955 |
| 11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 938 |
| 12. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 885 |
| 13. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 865 |
| 14. შაჰარ პირი (ისრაელი) | 862 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 851 |
| 16. ნა ლი (ჩინეთი) | 777 |
| 17. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 650 |
| 18. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 637 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 635 |
| 20. ვინუს უილიამსი (აშშ) | 520 |

# ქართველები ამ კვირის ტურნირებზე

**ბოლო ხანებში** მაკა ჩახნაშვილი WTA-ს ეგიდით მიმდინარე ტურნირების საკვალიფიკაციო ეტაპებზე თამაშობდა და ბერლინის სუპერტურნირზე ერთი მოგებაღა დააკლდა ძირითად ბადეში მოხვედრასთან. ამ კვირაში კი მაკა რანგით შედარებით დაბალ ITF-ის ეგიდით მიმდინარე შეჯიბრზე ითამაშებს.

ფრანგული სენტ გაუდენის თიხნარზე 50-ათასიანი ტურნირი ტარდება და იქ ჩახნაშვილი მე-4 ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში ჩვენებური კლასიფიკაციის 174-ე ნომერს, 18 წლის რუს ევგენია როდინას შეხვდება და, თუ მას მოუგებს, მერე ან პოლონელ იოანა ზაკოვიჩს დაუპირისპირდება, ანაც კანადელ მარი-ივ პელეტიეს.

* * *

**თურქეთის** ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ ანთალიის კორტებზე გრძელდება 25-ათასიანი ტურნირების სერია. მორიგი შეჯიბრი თიხნარზე ტარდება და იქ ხუთი ჩვენებური ცდილობდა საკვალიფიკაციო ეტაპიდან ძირითად ბადეში მოხვედრას.

ამ ხუთიდან ორმა ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა. ძირითად შეჯიბრში სოფო ქვაცაბაია და სოფო შაფათავა ითამაშებენ.

ქვაცაბაიამ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში მეორე ჩვენებურს, ნათია გვგიას 6:1 6:4 მოუგო, შემდეგ რეიტინგის 826-ე ნომერი, ბელარუსი ვიოლა დუკო 6:3 6:2 დაამარცხა და ბოლოს კი კლასიფიკაციაში 481-ე ადგილზე მყოფ ბრიტანელ ანა სმიტს ასევე ორ სეტში — 6:4 6:2 აჯობა.

შაფათავა პირველ წრეში თავისუფალი იყო, ხოლო შემდეგ, ჯერ რუს ანჟელიკა ბალიუკს გაუსწორდა 6:2 6:1, ხოლო მერე უკრაინელი კატერინა ნეზურა 6:1 6:1 გაანადგურა.

პირველ წრეში თამაშისგან თავისუფალნი იყვნენ თინა ყაულაშვილი და მანანა შაფაქიძეც, თუმცაღა ისინი მეორე წრეს ვეღარ გასცდნენ. ყაულაშვილს დაძაბულ ბრძოლაში 4:6 6:4 7:6 მოუგო რეიტინგის 578-ე საფეხურზე მყოფმა მასპინძელმა კაგლა ბუიუკაკსაიმ, ხოლო შაფაქიძე ასევე მესამე სეტის ტაი ბრეიკზე 1:6 7:5 6:7 დამარცხდა ებრაელ იულია გლუშკოსთან, ვისაც კლასიფიკაციაში 903-ე ადგილი უკავია.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ქვაცაბაია პირველ ნომრად განთესილ გერმანელს, 23 წლისა და რეიტინგში 213-ე პოზიციაზე მყოფ კატრინ ვოერლს შეხვდება, შაფათავას მეტოქე კი კლასიფიკაციის 417-ე ნომერი, ბრაზილიელი როქსანა ვაიზემბერგი იქნება.

* * *

**ბოლო კვირების** მანძილზე ქართველ ჩოგბურთელ ქალთა ერთი ჯგუფი თუ ანთალიაში თამაშობს, მეორე ჯგუფი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდულ თიხნარზე მიმდინარე ტურნირებზე ცდის ბედს. ამ კვირაშიც, პალმ ბიჩის კორტებზე 25-ათასიანი შეჯიბრი ტარდება და, თუ ანა ტატიშვილი ძირითად ბადეშია, სალომე დევიძე და სოფო მელიქიშვილი კვალიფიკაციიდან შეეცდებიან იქ მოხვედრას.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში ჩვენებურები თამაშისგან თავისუფალნი იყვნენ, ხოლო მეორეში დევიძე 15 წლის ამერიკელ კელი კამბურელისს შეხვდება, მელიქიშვილის მეტოქე კი კიდევ ერთი მასპინძელი, 18 წლის ლორიან ჰენრი იქნება.

* * *

**ესპანეთში,** ბალაგუერას თიხნარზე ITF-ის ეგიდით კაცთა 10-ათასიანი ტურნირი ტარდება და იქ ორი ჩვენებური ცდილობდა საკვალიფიკაციო ეტაპიდან ძირითად ბადეში მოხვედრას.

სამწუხაროდ, ორივე მათგანი პირველივე შეხვედრაში დამარცხდა. გიორგი ხრიკაძეს 6:2 6:2 მოუგო ესპანელმა ამადორ რომერო-ტორესმა, ხოლო ნოდარ ითონიშვილს სამ სეტში — 3:6 6:4 6:3 აჯობა ბრიტანელმა ოსკარ პოდლევსკიმ.

## მსოფლიოს ჩემპიონატი

მოსკოვი, რუსეთი. 27 აპრილი – 13 მაისი



# კანადამ მოსკოვში მომავალი მოიგო

**ფინალი**

**კანადა 4:2 ფინეთი**

*2:0 1:0 1:2*

1:0 ნეში (7), 2:0 ე. სტაალი (14), 3:0 არმსტრონგი (30), 3:1 კონტიოლა (52), 3:2 მიეტინენი (58), 4:2 ნეში (59)

**მესამე ადგილისთვის**

**რუსეთი 3:1 შვედეთი**

*2:0 1:0 0:1*

1:0 ემელინი (7), 2:0 ზინოვიევი (10), 3:0 ფროლოვი (22), 3:1 სტინი (49)

ვერ გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო — კანადამ ძალიან ადვილად, შეიძლება ითქვას, კლასით მოუგო ფინელებს და ერთწლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა. ჩრდილოამერიკელებისთვის ეს გამარჯვება ორმაგად, შეიძლება, სამმაგადაც სასიამოვნო იყო, რადგანაც მათ ჩემპიონობა თავიანთი ისტორიული მოსისხლის, რუსეთის მთავარ ქალაქში მოიპოვეს და ამით არსებული ბალანსი დაარღვიეს — კანადელბმა უკვე 24-ედ იჩემპიონეს და ამ მაჩვენებლით რუსეთ-საბჭოთა კავშირს მათსავე ტერიტორიაზე გადაასწრეს.

კანადამ სავსებით დაიმსახურა ეს ჩემპიონობა, რადგანაც მთელი ტურნირი დიდებულად გაიარა და ყველა მატჩში იმარჯვა. ჩრდილოამერიკელთა გენერალურმა მენეჯერმა, ლეგენდარულმა სტივ აიზერმანმა ჩემპიონატისთვის ძალიან კარგ შემადგენლობას მოუყარა თავი. მან ნაკრებში არ დაუძახა ნჰლ-ის პლეი ოფისგან თავისუფალ არც ერთ სუპერვარსკვლავსა თუ ვეტერანს და აქცენტი მოგებებსა და ტიტულებზე დაგეშილ ახალგაზრდებზე გააკეთა, თავკაცად კი გამოცდილი, მსოფლიო ჩემპიონატებზე არაერთხელ ნამყოფი ენდი მიურეი დაუყენა. ამანაც ერთ მუშტად შეკრა კანადელი ტალანტები და აგერ უკვე მესამედ გააჩემპიონა ჰოკეის გამომგონებლები.

ფინალმა კი თვალნათლივ დაგვანახა, თუ რამდენად აღემატებოდნენ კანადელები ყველა დანარჩენ ნაკრებს. ჩრდილოამერიკელებმა გამოუცდელი ბავშვებივით გალახეს მანამდე აშშ-სა და მასპინძელი რუსეთის გამგდები ფინელები. მატჩის ბედი პირველ ორ პერიოდში გადაწყდა, როცა კანადელებმა სამი უპასუხო შაიბა შეაგდეს (მესამე გოლში მონაწილეობა მიიღო 18 წლის ჯორდან სტაალმა, რომელიც ყველაზე ახლაგაზრდა კანადელად იქცა, ვისაც მსოფლიო ოქროს მოპოვება მოუხერხებია). სუომის ნაკრებმა ინტრიგა თითქოს აღადგინა მატჩის მიწურულისკენ, როცა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ ეს თავად კანადელთა „ბრალი" უფრო იყო, რომლებიც დროზე ადრე მოეშვნენ. თუმც ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელებულმა რიკ ნეშმა ყველა კითხვას მალევე გასცა პასუხი და ფინელები მეოთხედ დაამწუხრა.

მასპინძლები მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდნენ, დაამარცხეს რა ბრინჯაოსთვის ჯახში აწ უკვე ექსჩემპიონი შვედები. რუსებმა მაინც ვერ შეძლეს ორი ნავსის გატეხვა — ჯერ ერთი, თავად უკვე 14 წელია, ჩემპიონობა არ ღირსებიათ. გარდა ამისა, აგერ 21 წელი გახდა, რაც მასპინძელი ნაკრები ოქროს მოგებას ვერ ახერხებს.

**ქახა ლომჯაშვილი**

**ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები**

მეკარე: კარი ლეჰტონენი (ფინეთი)
მცველები: ანდრეი მარკოვი (რუსეთი), პეტერი ნუმელინი (ფინეთი)
თავდასხმელები: ალექსეი მოროზოვი, ევგენი მალკინი (რუსეთი), რიკ ნეში (კანადა)

## ნჰლ. პლეი ოფი. ნახევარფინალი

# იხვებმა გამარჯვება ტელევიზორში ნახეს

**დასავლეთი**

**დეტროიტი 1:1 ანაჰაიმი**

**მეორე მატჩი**

**დეტროიტი 3:4 ანაჰაიმი**

*0:1 2:1 1:1 0:1 (ოვერტაიმში)*

0:1 რ. ნიდერმაიერი (18, გეცლაფი, პერი), 1:1 მოლტბი (31, უმც. ლიდსტრომი, კლირი), 1:2 მაკამონდი (32, პერი, პრონგერი), 2:2 ლიდსტრომი (37, უმრ. კლირი, ლანგი), 3:2 დაციუკი (42, უმრ. ლანგი, ზეტერბერგი), 3:3 მოენი (46, პალსონი), 3:4 ს. ნიდერმაიერი (75, რ. რიდერმაიერი, პალსონი)

**მძიმე** ბრძოლაში ჩაიარა დასავლეთ კონფერენციის ფინალის მეორე შეხვედრამაც, სადაც ისევ ძალიან თანაბარი და ფიზიკური ორთაბრძოლებით სავსე ჯახი ვიხილეთ. ამ ძიძგილაობაში ამჯერად გამარჯვება სტუმრებს დარჩათ — კაპიტან სკოტ ნიდერმაიერის მიერ ოვერტაიმის მე-15 წუთზე გასროლილით „ანაჰაიმმა" სერიაში ანგარიში გაათანაბრა და ახლა ყინულის უპირატესობაც მოიპოვა, შემდეგ ორ შეხვედრას "იხვები" ხომ მშობლიურ კედლებში გამართავენ.

„შაიბა რომ კარებში გავიდა, მხოლოდ გამეორებაზე დავინახე. არადა, მეგონა, ძელს მოხვდა" — განაცხადა ნამატჩევს ნიდერმაიერმა.

ისე, ვიდეოგამეორებების პრაქტიკა გუშინ გამთენიისას „იხვებს" მაგრად დაეხმარა, რადგანაც ძირითადად დროში გატანილი სამი შაიბიდან ორი კალიფორნიელებს მხოლოდ ტელევიზორთან მჯდომ მსაჯთან კონსულტაციების შემდეგ ჩაუთვალეს. და თუ ენდი მაკდონალდის მიერ გატანილ გოლთან არავის აქვს პრეტენზია, ტრევის მოენის გამთანაბრებელ შაიბასთან დაკავშირებით ახლაც დიდი კითხვები არსებობს. აქ მაგრად არ გაუმართლა ჯერჯერობით ბრწყინვალედ მოთამაშე დომინიკ ჰაშეკს. საქმე იმაშია, რომ მეტოქის დარტყმული „დომინატორმა" კი მოიგერია, მაგრამ შაიბა ამუნიციაში გაეჩხირა, ხოლო სანამ მსაჯი ჩაუსტვენდა, „დეტროიტის" კარის დარაჯს რობ ნიდერმაიერი დაეჯახა და ვეტერანი ჩეხი კარებში შეტენა — შედეგად შაიბაც კარებში აღმოჩნდა. თუმც მსაჯებმა ეს გოლი მაინც ჩათვალეს, „ანაჰაიმმა" კი, როგორც მოგახსენეთ, შემდეგ ოვერტაიმში მოიგო, გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ.

**ქახა ლომჯაშვილი**



სტუმრებმა დომინიკ ჰაშეკი არ მოასვენეს





ვესელინ ტოპალოვს თვალები მეოთხე ტურში აეხილა

## M-TEL MASTERS-ის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. 9-20 მაისი

# არ იფიქრო, იბრძოლე!

**IV ტური**

| | | |
|---|---|---|
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი) |
| კრიშნან საშიკირანი (ინდოეთი) | 0:1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |

**ბულგარელმა** ქომაგებმა მეოთხე ტურში როგორც იქნა, გაიხარეს. მათმა ჯილამ ვესელინ ტოპალოვმა პირველი გამარჯვება მოიპოვა და ბოლო ადგილს თავი დააღწია. მსოფლიოს ექსჩემპიონმა შავი ფიგურებით ინდოელთა მეორე ნომერი კრიშნან საშიკირანი შემუსრა და ტურნირის მოგების შანსი შეინარჩუნა.

პარტია საშიკირანმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, ცენტრში სამი პაიკი გამოიყვანა და უკან მსუბუქი ფიგურები დაუყენა. ტოპალოვმა მე-4 სვლაზე როქი გააკეთა, ხელმწიფის ფლანგი გააძლიერა და ინდუსს მიაწვა. ბულგარელი თანდათან გააქტიურდა, პაიკები წინ გაიყვანა და უპირატესობას დაეუფლა. საშიკირანმა ლაზიერის მხრიდან შეუტია მასპინძელს, თუმც ამით ხელმწიფის ფლანგიდან მომავალი შავ პაიკთა ლაშქარი ვერ შეაკავა და 33-ე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

„თუ ხედავ, რომ ცუდად თამაშობ, ჯობს, მაგაზე არ იფიქრო და ბრძოლა გააგრძელო. დღეს კარგად ვითამაშე, დებიუტშივე მოვიპოვე უპირატესობა და ქულაც ავიღე" — განაცხადა ნამატჩევს ტოპალოვმა.

ლიდერობა შეინარჩუნა შაჰრიარ მამედიაროვმა. იგი ევროპის ჩემპიონ ლივიუ-დიტერ ნისიპიანუს 22-ე სვლაზე დაუზავდა და 3 ქულით პირველ ადგილზე დარჩა.

**ლაშა გეგეჭკორი**

**სატურნირო ცხრილი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | შაჰრიარ მამედიაროვი | 3,0 |
| 2. | მაიკლ ადამსი | 2,5 |
| 3. | კრიშნან საშიკირანი | 2,0 |
| 4. | ლივიუ-დიტერ ნისინიანუ | 2,0 |
| 5. | ვესელინ ტოპალოვი | 1,5 |
| 6. | გატა კამსკი | 1,0 |

## Giro d'Italia 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი

# გარიბალდის ნაკვალევზე

**საიუბილეო,** რიგით 90-ე „ჯირო დიტალია" კუნძულ სარდინიაზე, 26-კილომეტრიანი გუნდური რბოლით დაიწყო, რომელიც იტალიური ველოგუნდის „ლიქუიგასის" წევრებმა მოიგეს.

სარდინია მასპინძლობდა გუშინწინდელ და გუშინდელ, შესაბამისად მეორე და მესამე ეტაპებსაც და ეს შემთხვევითი არ ყოფილა — იტალია წლეულს თავისი ეროვნული გმირის, ჯუზეპე გარიბალდის იუბილეს აღნიშნავს, სახელოვანი რევოლუციონერი კი სწორედ სარდინიელი იყო და „ჯიროს" ორგანიზატორებმა ასე მიაგეს მის ხსოვნას პატივი.

პირველი ეტაპის ტრასამ, სულაც გარიბალდის სახლის სიახლოვეს გაიარა, თუმცა რბოლას დავუბრუნდეთ და კვირას, მეორე ეტაპზე, პელოტონის წინ, მართალია მხოლოდ მეორე კატეგორიის, მაგრამ პირველი მთა აღიმართა. ეს ფინიშამდე 48 კილომეტრით ადრე იყო და რამდენიმე მრბოლმა კი სცადა ამ აღმართში ველოქარავნისგან გაქცევა, მაგრამ ამ მცდელობამ შედეგი არ გამოიღო და მრბოლები ჯგროდ შეიჭრნენ ბოსას ქუჩებში.

წლევანდელ „ჯიროზე" საფინიშო საქმის რამდენიმე დიდოსტატი გამოდის და მათგან პირველ რიგში ორნი არიან გამოსაყოფნი — იტალიელი ალესანდრო პეტაკი და ავსტრალიელი რობი მაკიუენი, კვირას პეტაკის გუნდის, „მილრამის" წევრებმა თითქოს ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, მათ ლიდერს იდეალური საფინიშო პოზიცია რომ ჰქონოდა, მაგრამ პეტაკი მაინც ვერას გახდა მაკიუენთან და ეგ კი არა, სულაც მესამე ადგილზე დარჩა — ავსტრალიელის შემდეგ ფინიშის ხაზი იტალიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა პაოლო ბეტინიმ გადაკვეთა.

საერთო ჩათვლაში წინ, კვლავაც გუნდური რბოლის მომგები „ლიქუიგასის" წევრები დარჩნენ, ოღონდ, თუ პირველი ეტაპის შემდეგ ლიდერის ვარდისფერი მაისურა ენრიკე გასპაროლოს ეცვა, მეორე ეტაპმა პირველ ადგილზე დანილო დი ლუკა აღაზევა.



AFP



# კრის ჰოი: მაღლა და სწრაფად

**სატრეკო** ველოსპორტის ბრიტანელმა ასმა კრის ჰოიმ ბოლივიის დედაქალაქ ლა პასის ტრეკზე მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 500 მეტრი 24,758 წამში გაიქროლა.

31 წლის ედინბურგელი სპეციალურად მსოფლიოს რეკორდების დასამყარებლად ჩავიდა ბოლივიაში და ზღვას დონიდან 3417 მეტრ სიმაღლეზე, გაიშვიათებული ჰაერის პირობებში შეუტია ძველ მიღწევებს.

თავდაპირველად ჰოიმ 1000 მეტრზე სცადა ფრანგი არნო ტურნანის მიერ დამყარებული რეკორდის — 58,875 წამის გაუმჯობესება, მაგრამ ამაოდ. ბრიტანელმა კილომეტრის გავლას 59,103 წამი მოანდომა, რაც ისტორიაში მეორე შედეგი გახლავთ.

მეორე დღეს ჰოიმ, უკვე 500 მეტრიან 25,85 წამს შეუტია და წარმატებითაც — ძველ რეკორდს წამზე მეტი ჩამოაკლო და ხვაშიადი აისრულა.

# ლადონუს დიუნკერი

**ფრანგული** „ველოგუნდის" „ფრანსაიზ დე ჟუს" ფრანგი მრბოლის მეტიუ ლადონუს გამარჯვებით დასრულდა „დიუნკერის ოთხ დღედ" წოდებული პოპულარული ექვსეტაპა რბოლა, რომელიც წლეულს 53-ედ ჩატარდა.

ლადონუმ გადამწყვეტ უპირატესობას დასკვნით ორ ეტაპზე მიაღწია. ჯერ 176-ე კილომეტრიანი მე-5 ეტაპი მოიგო და ამ გამარჯვებით საერთო ჩათვლაში ბელგიელ კორნოს დაეწია, ხოლო დასკვნით ეტაპზე მართალია პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა, მაგრამ კორნოს კიდევ 14 წამით აჯობა და პირველობაც დაიბევა.

გამარჯვებულის გარდა უნდა გამოვყოთ გერმანული „T-მობაილის" ახალგაზრდა ბრიტანელი მრბოლი მარკ კავენდიშიც, რომელმაც ორი მათ შორის დასკვნითი ეტაპის მოგება მოახერხა.



# Formula 1 ჰემილტონმა მაკლარენი მაკლარენით დაამხო

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

**წლევანდელი** საპირველფორმულო ჩემპიონატის პირველივე ევროპულმა, კერძოდ, ესპანურმა „გრან პრიმ" არაერთი საინტერესო შედეგი მოიტანა.

უმთავრესი, ცხადია, 26 წლის ბრაზილიელ ფელიპე მასას ჰეთ ტრიქით (პოულ-პოზიცია, უსწრაფესი წრე, რბოლის მოგება) გამარჯვებაა.

წინა დღეს საკვალიფიკაციო გაჯიბრებაში საუკეთესო ფერარელი ფელიპე რბოლაშიც ყველაზე ყოჩაღად დაიძრა და აგრესიული ქმედების მიუხედავად, მეწინავეობა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს არ დაანება. არადა, „ფერარისა" და „მაკლარენის" ბოლიდები პირველ მოსახვევში შესვლისას ერთმანეთს შეეხნენ კიდეც, რის შედეგადაც ჩემპიონის მანქანა გზას გადასცდა, დამცავ ზონაში გადავიდა და ტრეკს მხოლოდ მეოთხე პოზიციაზე დაუბრუნდა.

ნანდოს სასტარტო აქტიურობა ნაკლები საწყავის ამბავი ყოფილა, თუმც ამ გეგმამ არ გაუმართლა და უკვე შუა დისტანციაზე მასასთან თითქმის ნახევარ წუთს აგებდა. ის კი არა, ჩემპიონმა ვერც თანამაკელ ლუის ჰემილტონის გასწრება შეძლო.

ერთი სიტყვით, ესპანეთის დიდი პრიზის გამარჯვებული, ფაქტობრივად, ტრასის პირველივე მოსახვევში გაირკვა — მასამ ფინიშამდე არავის დაუთმო ლიდერობა, ფანტასტიკური ახალბედა ჰემილტონი მეორე იყო, ხოლო ფერარელი „ყინულის კაცი" კიმი რაიკონენი ელექტრიკის მიზეზით, ბრძოლას რომ არ ჩამოშორებოდა, ალონსო იქნებ მშობლიურ პოდიუმზე ვერც შემდგარიყო.

ალონსო: „რთული მომენტი იყო. ორივემ პრაქტიკულად ერთნაირად ავიღეთ სტარტი, მაგრამ, როცა თითქმის ნახევარი კორპუსით ფელიპეზე წინ ვიყავი, მან გზა მომიჭრა. ასეთ შემთხვევებში 99 პროცენტი გამოთიშვით მთავრდება, ამდენად, ორივეს გაგვიმართლა, რომ რბოლა გავაგრძელეთ."

ბუნებრივია, მასა მეცხრე ცაზე იყო: „ფანტასტიკაა, უბრალოდ, სიტყვები არ მყოფნის ემოციის გამოსახატად. სტარტზე დუელი მეტად მწვავე იყო — მე ცოტა გავრისკე და შედეგად, ჩვენი მანქანები ერთმანეთს შეეხო, თუმც, საბედნიეროდ, ჩემი ბოლიდი არ დაზიანებულა და ეგრევე მოვახერხე წინ გაჭრა."

ასეა თუ ისე, მომხდარი ინციდენტით ყველაზე მეტად 22 წლის ბრიტანელმა, ახალბედა ლუის ჰემილტონმა იხეირა, მეოთხე სასტარტო საფეხურიდან უცბად მეორეზე აღმოჩნდა და ასევე დაასრულა საათნახევრიანი რბოლა.

შედეგად, ჰემილტონი გახდა ფორმულა 1-ის თითქმის სამოცწლიან ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მრბოლი, ვინც ოთხივე სასტარტო ეტაპზე პოდიუმზე შედგა და ამასთან, თავისივე „მაკლარენის" გუნდის დამაარსებელ ბრიუს მაკლარენის რეკორდი დაამხო." ეს კი მართლაც საგინესო უნიკალური მიღწევაა — ბრიუსის შემდეგ არასოდეს მომხდარა, რომ დებიუტანტს ჩემპიონატის ოთხი რბოლის შემდეგ ელიდეროს.



AFP

ერთი სიტყვით, ჰემილტონმა ახალზელანდიელ მაკლარენის ორმოცწლიანი რეკორდი ერთი თვითა და ორი დღით გააუმჯობესა და გასულ კვირას 22 წლის, ოთხი თვისა და ექვსი დღის ასაკში „სამეფო რბოლების" სარეკორდო ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

**გია ახალაძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge